

სამეცნიერო-პრაქტიკული ელექტრონული ჟურნალი



ბუნებისმეტყველების მეცნიერებათა ჟურნალი

დამატება №4

- * მონეტარული ფუნქციონირება
- * დაგეგმვის თეორია და
ვათქმის ფორმირება
- * დაგეგმვის პრაქტიკა
- * ფინანსები, ადრინსვა და
აუდიტი
- * მართლმართები საბადასახადო და
საბადაო კანონმდებლობაში
კონსტიტუციური
- * კითხვა-პასუხები



2016

**უინანსური და
საპარამეტრიზო
კონსულტაციის ცენტრი**



გთავაზობთ:

გულგრილი და საგადასახადო
აღრიცხვა-ანგარიშგების სქემების დამუშავებას
და გულგრილი და საგადასახადო აღრიცხვის
ანგარიშს ახლად შექმნილ და მოქმედ კომპანიებში

გულგრილი და საგადასახადო
აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებას ხელშეკრულებით

კომპანიის საქმიანობის უინანსურ ანალიზს და
უინანსური გაჯანსაღების ღონისძიებების დამუშავებას

ექსპორტ-იმპორტის საგადასახადო კონსულტაციის
დამუშავებას





gamomcemeli: Sps `biznes intel eqti-
Publisher: Business Intellect Ltd.

UDC (uak) 336.2+336.14(051.2)
g-145

referirebadi da recenzirebadi samecniero-praqtikul i el .Jurnal i
`gadasaxadebi -
*registrirebul ia #04-06/65, 10.08.2009 / **Registered** #04-06/65, 10.08.2009*

Referred and reviewed scientific & practical e.magazine `Gadasakhadebi-

mTavari redaqtori:
daviT j al aRonia,
sruli profesori
Chief Editor:
David Jalagonia, Full Professor

pasuxismgebel i mdivani
marine xubua, asociirebul i profesori
Executive Secretary:
Marine Khubua, Associated Professor

redaqtori: madona gel aSvili
asociirebul i profesori

Editor:
Madona Gelashvili, Associated Professor

teqniki redaqtori:
nazi gomel auri
Technical Editor: Nazi Gomelauri
koreqtori: rusiko papaskiri
asociirebul i profesori
Corrector:
Rusiko Papaskiri, Associated Professor

marketolog-konsultanti:
devi Sonia, asociirebul i profesori
Marketing Consultant:
Devi Shonia, Associated professor

iurist-konsultanti:
el guja qavTaraZe, asociirebul i profesori
Legal Advisor:
Elguja Kavtaradze, Associated Professor

el . Jurnal i „gadasaxadebi -
registrirebul ia
s.k. 404941300
E. Magazine "GADASAKHADEBI"
(Taxes) is registered
ID code: 404941300

saredaqci o kol egi a
EDITORIAL BOARD

Tavmj domare: profesori daviT j al aRonia
Chairman: professor David Jalagonia

ekonomikur mecnierebaTa doqtorebi,
profesorebi:

Doctors of Economics, Professors:

zaur amil axvari	Zaur Amilakhvari
rezo gvel esiani	Rezo Gvelesiani
simon gel aSvili	Simon Gelashvili
irma dixaminjia	Irma Dikhaminjia
kaxaber eraZe	Kakhaber Eradze
SoTa veSapi Ze	Shota Veshapidze
l arisa Takal anZe	Larisa Takalandze
zurab l ipartia	Zurab Lipartia
iakob mesxia	Iakob Meskhia
vl adimer RI onti	Vladimer Ghlonti
zaira RuduSauri	Zaira Gudushauri
Temur Sengel ia	Temur Shengelia
mixeil cikvil aZe	Mikheil Chikviladze
nodar xaduri	Nodar Khaduri
el ene xarabaZe	Elene Kharabadze
rezo xarebava	Rezo Kharebava
nanuli ZimceiSvili	Nanuli Dzimceishvili

anJel ika krutova - xarkovi, ukraina
Angelica Krutova - Kharkiv, Ukraine
kerimovi el sever nariman oRli -
baqo, azerbaij ani
Kerimov Elsever Nariman Oglu - Baku, Azerbaijan

mimRebi: Sps `biznes intel eqti-
mimRebis IBAN angariSis # GE30BR0000010679562042
mimRebis banki: s.s banki `respublika-
bankis BIC kodi: REPLGE22

Beneficiary's name: Business Intellect Ltd
Beneficiary's IBAN NO: GE30BR0000010679562042 (USD)
Beneficiary Bank: BANK "REPUBLIC" TBILISI, GEORGIA
Correspondent acc. No: 00195464
SWIFT: REPL GE 22

T/Fax: 00995 32 2307851 , mob/Mob:00995 5 93 79 10 77

redaqciis azri Sesazl oa ar emTxveodes avtorisas. statiaSi moyvani l faqtetisa da monacemebis sizusteze pasuxismgebel ia avtorii.

Author's opinion may differ from the one of the Editorial Board. Accuracy of the facts and data provided in the article is the responsibility of author

gamodis TveSi erTxel , fasi 6 l ari / MONTHLY MAGAZINE, PRICE: GEL 6

ISSN 1987-9156



sarCevi / **Table of contents**

oficial uri dokumentebi / **Formal documents**

oficial uri dokumentebi	5-36
instruqcia / Instructions	37
komentarebi/manual ebi / Comments/Manuals	38-50
Semosavl ebis samsaxuris ganmarteba / Revenue service definition	51-72

gadasaxadebi , damat eba # 4, 2016

GADASAKHADEBI, EDDITION # 4, 2016



საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის – ქვეპროგრამა 3)“ რატიფიცირების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

რატიფიცირებულ იქნეს 2016 წლის 1 სექტემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ჩვეულებრივი ოპერაციები) (შიდა რესურსების მობილიზაციის გაუმჯობესება ინკლუზიური ზრდის პროგრამისათვის – ქვეპროგრამა 3)“.

საქართველოს პარლამენტის

თავმჯდომარე

ირაკლი კობახიძე

ქუთაისი,

30 ნოემბერი 2016 წ.

N32-ის





საქართველოს მთავრობის

დადგენილება №542

2016 წლის 9 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში (სსმ III, №94, 12/08/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დებულების 7^ა მუხლის 1^ა პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამინისტროს ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების, ასევე მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტის შემთხვევაში – სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის შუამდგომლობა, რომელიც უნდა მოიცავდეს დასაბუთებულ ინფორმაციას განსახორციელებელი პროექტის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობისა და განმცხადებლის ლიცენზიისგან გათავისუფლების აუცილებლობის შესახებ;“.

2. დებულების 7^ა მუხლის 1^ა პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) ამ მუხლის 2^ა და 2^ბ პუნქტებით განსაზღვრული განსხვავებული გადასახდელი თანხის მოთხოვნის შემთხვევაში, დასაბუთებული ინფორმაცია ლიცენზიისგან გათავისუფლებისათვის განსხვავებული გადასახდელი თანხის დადგენის ეკონომიკური და ფინანსური ეფექტიანობის შესახებ, ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი პროექტის შემთხვევაში, ლიცენზიისგან გათავისუფლებისთვის განსხვავებული გადასახდელი თანხის მოთხოვნისას – დასაბუთებული ინფორმაცია განსხვავებული გადასახდელი თანხისა და განსახორციელებელი პროექტისთვის გამოყოფილი სახსრებიდან სასარგებლო წიაღისეულის (საშენი მასალა) შექმენისთვის გათვალისწინებული თანხის შესაბამისობის შესახებ.“.

3. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 7^ბ მუხლი:



„მუხლი 7⁸. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვის ორგანოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლება

1. თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ტრადიციული არქიტექტურის ინფრასტრუქტურული შენობა/ნაგებობების მშენებლობის ან/და რეაბილიტაციის ხელშეწყობის მიზნით, დაინტერესებული პირების შესაბამისი საშენი მასალით (ფიქალის ქვა) უზრუნველსაყოფად, მხოლოდ აღნიშნულ დაცულ ტერიტორიებზე გამოსაყენებლად, თუშეთის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან არა უმეტეს 3 წლის ვადით შეიძლება გათავისუფლდეს თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვის ორგანო.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვის ორგანოს განცხადების საფუძველზე, სააგენტოს მიერ მომზადებული გეოსაინფორმაციო პაკეტით დადგენილი პირობებით, სამინისტროს შუამდგომლობით, ლიცენზიისგან გათავისუფლების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

3. ამ მუხლის საფუძველზე ლიცენზიისაგან გათავისუფლებაზე არ ვრცელდება ლიცენზიისაგან გათავისუფლებისთვის თანხის გადახდის ვალდებულება. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი იხდის მხოლოდ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელს, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის 1¹ პუნქტის შესაბამისად, ფაქტობრივად მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის მიხედვით.

4. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვის ორგანო ამ მუხლის საფუძველზე მოპოვებულ სასარგებლო წიაღისეულს, თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ტრადიციული არქიტექტურის ინფრასტრუქტურული შენობა/ნაგებობების მშენებლობის ან/და რეაბილიტაციის განმახორციელებელ პირებზე გასცემს შეთანხმებული არქიტექტურულ-სამშენებლო პროექტის (რემონტის შემთხვევაში – შესაბამისი პროექტის) ან მშენებლობის ნებართვის საფუძველზე.

5. თუშეთის დაცული ლანდშაფტის მართვის ორგანო სამინისტროს სახელმწიფო საკვეუწყებო დაწესებულებას – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს კვარტალში ერთხელ წარუდგენს ინფორმაციას ამ მუხლის საფუძველზე განხორციელებული ღონისძიებების (მათ შორის, მოპოვებული და გაცემული სასარგებლო წიაღისეულის ოდენობის) შესახებ.

მუხლი 2

1. დადგენილება, გარდა პირველი მუხლის მე-3 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.



2. დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2017 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი

კვირიკაშვილი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №540

2016 წლის 9 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2011, 480180000.10.003.016169) შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. დადგენილების პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-10 პუნქტი:

„10. „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმა“ (დანართი №10).“.

2. დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემის“ (დანართი №1):

ა) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ინფორმაცია საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებების სანიტარიული დამუშავების ზომებისადმი დაქვემდებარების, გამოყენებული მეთოდებისა და მათი გამოყენების მიზეზების შესახებ წერილობითი ფორმით მიეწოდება საჰაერო ხომალდის პასუხისმგებელ პირს, ხოლო გემის შემთხვევაში აღინიშნება გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაში და „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმაში“ (დანართი №10).“;



ბ) მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) გემის შემთხვევაში - აღმოჩენილი ფაქტები და კონტროლის აუცილებელი ღონისძიებები აღინიშნება გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაში, ასევე მიეთითება „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმაში“ (დანართი №10), გამოვლენილი არადამაკმაყოფილებელი ფაქტის შესაბამისი კოდის დაფიქსირებით;“;

გ) მე-20 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. თუ კონტროლის ღონისძიებების ჩატარების პირობები ისეთია, რომ ამ პროცედურების განმახორციელებელი სასაზღვრო ინსპექციის პუნქტის უფლებამოსილი პირის აზრით, დამაკმაყოფილებელი შედეგის მიღწევა შეუძლებელია, იგი აკეთებს შესაბამის აღნიშვნას გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობაში და ავსებს „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმას“ (დანართი №10) გამოვლენილი არადამაკმაყოფილებელი ფაქტის შესაბამისი კოდის მითითებით.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული „სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის“ (დანართი №2):

ა) მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობა გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ გემზე აღმოჩნდა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისათვის საშიში რისკები (ინფექციისა და კონტამინაციის წყარო, გადამტანებისა და რეზერვუარების ჩათვლით) და ჩატარებული პროცედურებით მიღწეულია დამაკმაყოფილებელი შედეგები. აღმოჩენილი რისკები და გატარებული ღონისძიებები უნდა აისახოს მოწმობასა და „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმაში“ (დანართი №10).“;

ბ) მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. დარღვევების არსებობისას, უფლებამოსილი პირი დამატებით ავსებს „გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმას“ (დანართი №10), „ჯანმრთელობის საერთაშორისო წესებზე“ დაფუძნებული „გემის ინსპექტირება და გემის სანიტარიული სერტიფიკატის გაცემის“ სახელმძღვანელოს მიხედვით, გამოვლენილი არადამაკმაყოფილებელი ფაქტის შესაბამისი კოდის მითითებით.“.

4. დადგენილებას დაემატოს დანართი №10 თანდართული ფორმით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

გიორგი კვირიკაშვილი



დანართი №10

გამოვლინებათა აღრიცხვის ფორმა

Evidence Report Form

შეიცავს ინფორმაციას კონტროლის დროს აღმოჩენილი დარღვევებისა და გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

List of evidence found and control measures to be performed

წარმოადგენს გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის დამატებას

Evidence Report Form to support the Ship Sanitation Certificate

დამატების თითოეულ გვერდზე დატანილი უნდა იყოს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა, შტამპი და თარიღი. თუ დამატება თან ერთვის უკვე არსებულ გემის სანიტარიული კონტროლისაგან გათავისუფლების/გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობას, აღნიშნულში მისი არსებობა უნდა დასტურდებოდეს (მაგ., შტამპით).

When attached to the Ship Sanitation Certificate (SSC), each page of this attachment needs to be signed, stamped and dated by the competent authority. If this document is used as an attachment to a pre-existing SSC, this attachment must be noted in the SSC (e.g. by using a stamp).

საზღვაო ხომალდის დასახელება და IMO № ან გემის ბორტზე მყოფი პასუხისმგებელი პირის, რეგისტრაციის № (კაპიტანი/ოფიცერი) სახელი, გვარი და ხელმოწერა:

Ship's name and IMO-No. or Registration Name and signature of responsible ship officer on board:

მოწმობის გამცემი ორგანო

ინსპექტირების ფაქტობრივი თარიღი:

Name of issuing authority

Actual inspection date

/ /

გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობის გაცემის თარიღი: ____/____/____ გემის სანიტარიული კონტროლის ჩატარების მოწმობა გაიცა პორტში:

Date of referred SSC

SSC issued in the Port of:

აღინიშნოს ზონები, რომლებიც არ შემოწმებულა:

Indicate areas that have not been inspected:

საცხოვრებელი სათავსები Quarters	კამბუზი, სურსათის სათავსი, კვების სამსახურის/ობიექტის ტერიტორია Galley, pantry, service area	საწყობები stores	ბავშვთა ობიექტები Child care facilities
------------------------------------	---	---------------------	---



სამედიცინო მომსახურების ობიექტი Medical care facilities	საცურაო აუზები/ჰიდრომასაჟების აბაზანები Swimming pools/spas	მყარი და სამედიცინო ნარჩენები solid and medical waste	სამანქანო განყოფილება Engine room
სასმელი წყალი Potable water	ჩამდინარი წყლები sawage	საბალასტე წყლები Ballast water	ტრიუმები/სატვირთო სათავსები Cargo holds
სხვა (მაგ., სამრეცხაოები და სარეცხი მანქანები) Other (e.g. laundry and washing machine)			
ბორტზე გამოვლენილია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მდგომარეობები Detected health events on board		დიახ yes	არა no
Evidence Code	გამოვლენილი ფაქტები (მოკლე აღწერილობა ჯანმრთელობის საკონტროლო წუსების მიხედვით) (თითოეული ფაქტი გაიხაზოს ერთმანეთისგან განცალკევების მიზნით)	გასატარებელი ლონისძიებები Measures to be applied	მიღებული ზომები ეფექტურად განხორციელდა (განმეორებითი ინსპექტირების ჩამტარებელი ორგანოს შტამპი და უფლებამოსილი პირის ხელმოწერა) Measure successfully performed (Stamp & signature of re- inspecting authority)
	Draw a horizontal line below each evidence found)	მოთხოვნილი რეკომენდებული required recommended	



უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი:	უფლებამოსილი პირის ხელმოწერა:	მოწმობის გამცემი ორგანოს შტამპი:	გვერდი Page
Name of issuing inspector:	Signature of issuing inspector:	Stamp of issuing authority:	დან of

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №310

2016 წლის 9 დეკემბერი, ქ. თბილისი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 დეკემბრის №341 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ და „ს“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში პრაქტიკის გავლის წესი“ (დანართი №1);

ბ) „განაცხადი პრაქტიკის გავლის შესახებ“ (დანართი №2).

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი



დანართი №1

**ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის
სამსახურში პრაქტიკის გავლის წესი**

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომში – სამსახური) პრაქტიკის გავლის წესსა და პირობებს.

მუხლი 2

მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების, მათი პროფესიული განვითარების, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სრულყოფის მიზნით, სამსახური უქმნის სპეციალისტებს დამოუკიდებელი მუშაობისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოვლენისათვის საჭირო პირობებს.

მუხლი 3

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) პრაქტიკა – სამსახურში ამ წესით რეგულირებადი, აუნაზღაურებადი საქმიანობა;
- ბ) პრაქტიკანტი – პირი, რომელიც ამ წესის საფუძველზე გადის პრაქტიკას;
- გ) კანდიდატი – პირი, რომელსაც ამ წესის შესაბამისად სამსახურში შემოტანილი აქვს განცხადება პრაქტიკის გავლის შესახებ ან წარმოდგენილი აქვს მომართვა სასწავლო დაწესებულებიდან პრაქტიკის გავლის შესახებ.

თავი II

პრაქტიკანტის სტატუსი

მუხლი 4

1. პრაქტიკანტად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად არის სტუდენტი (აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე სწავლების შემთხვევაში პრაქტიკანტად მიიღება მხოლოდ ის პირი, რომელიც იმყოფება აღნიშნული საფეხურის დამამთავრებელ კურსზე) ან შესაბამისი უმაღლესი განათლების მქონე.

2. განსაკუთრებულ შემთხვევაში სამსახურის უფროსი უფლებამოსილია მიიღოს სხვა გადაწყვეტილება.

მუხლი 5

გადაწყვეტილებას კანდიდატის პრაქტიკანტად დანიშვნის შესახებ იღებს სამსახურის უფროსი, სამსახურის აპარატის მიერ სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან წარმოდგენილი წარდგინება-რეკომენდაციის და ამ წესის მე-6 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მიხედვით მომზადებული წინადადებების საფუძველზე.



მუხლი 6

1. კანდიდატმა სამსახურის აპარატში უნდა წარადგინოს შევსებული განაცხადის ფორმა პრაქტიკის გავლის შესახებ (დანართი №2) ან მომართვა სასწავლო დაწესებულებიდან პრაქტიკის გავლის შესახებ, რომელსაც უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები:

- ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ბ) ავტობიოგრაფია (CV);
- გ) დიპლომის ასლი ან ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან;
- დ) ფოტოსურათი (ზომა 3X4).

2. იმ შემთხვევაში, როცა კანდიდატი წარმოდგენილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ განაცხადს კანდიდატი ავსებს გასაუბრებამდე.

3. პრაქტიკანტად მიღება ხდება გასაუბრების საფუძველზე, რომელიც წარიმართება სამსახურის აპარატის და სამსახურის იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული საჯარო მოსამსახურის მიერ, რომელშიც სურს პრაქტიკის გავლა კანდიდატს. გასაუბრებას შესაძლოა ესწრებოდეს სამსახურის უფროსი.

4. გასაუბრებისას მოწმდება კანდიდატის თეორიული ცოდნა შესაბამის სფეროში და პრაქტიკის გავლის მოტივაცია.

5. გადაწყვეტილებას კანდიდატის პრაქტიკანტად დანიშვნის შესახებ იღებს სამსახურის უფროსი, სამსახურის აპარატის უფროსის წინადადების საფუძველზე, გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით.

მუხლი 7

1. პრაქტიკის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 3 თვით.

2. განსაკუთრებულ შემთხვევაში, სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელების წარდგინების საფუძველზე სამსახურის აპარატის მიერ მომზადებული წინადადებით, სამსახურის უფროსი უფლებამოსილია გააგრძელოს პრაქტიკის ვადა 6 თვემდე.

3. პრაქტიკანტს პრაქტიკის გავლის შემდეგ ეძლევა პრაქტიკის გავლის დამადასტურებელი მოწმობა (ცნობა).

მუხლი 8

პრაქტიკანტთა რაოდენობა სამსახურის შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში, როგორც წესი, არ უნდა აღემატებოდეს ამ სტრუქტურულ ქვედანაყოფში შტატით გათვალისწინებულ მოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 1/5-ს.

თავი III

პრაქტიკანტის უფლებები

მუხლი 9

1. პრაქტიკანტი უფლებამოსილია:

ა) სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის თანხმობით გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას (საარქივო მასალებს), ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებით და სხვა), თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს;



ბ) უშუალო ხელმძღვანელის, რომელსაც განსაზღვრავს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი, თანხმობით დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში;

გ) გაეცნოს სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის მუშაობის სპეციფიკას, იმ საკითხების მომზადებასა და სათანადო დოკუმენტების შედგენას, რომელიც ამ სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის სფეროს მიეკუთვნება.

2. პრაქტიკანტი სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მითითებითა და უშუალო ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ასრულებს ცალკეულ დავალებებს, რომელიც შეეხება მოცემული სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის საკითხებს.

მუხლი 10

1. პრაქტიკანტს უფლება აქვს, იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის წინაშე, სადაც გადის პრაქტიკას, დასვას საკითხი მისი სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში გადაყვანის შესახებ.

2. სამსახურის აპარატის უფროსის მიერ სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან წარმოდგენილი წარდგინების შესაბამისად მომზადებული წინადადების საფუძველზე, სამსახურის უფროსი, პრაქტიკანტის მოსწრების და ცოდნის დონის გათვალისწინებით, უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) მიიღოს გადაწყვეტილება პრაქტიკანტის სხვა სტრუქტურულ ქვედანაყოფში გადაყვანის შესახებ.

თავი IV

პრაქტიკანტის მოვალეობანი

მუხლი 11

1. პრაქტიკანტი ვალდებულია:

ა) გაეცნოს და იხელმძღვანელოს საქართველოს კონსტიტუციით, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, სამსახურის დებულებითა და სამსახურის საქმიანობის სფეროს მარეგულირებელი სხვა სამართლებრივი აქტებით;

ბ) დადგინდეს ვადებში შეასრულოს ყველა ის დავალება, რომელიც მას დაეკისრება უშუალო ხელმძღვანელის ან სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის მიერ, სადაც იგი გადის პრაქტიკას.

2. პრაქტიკანტი ვალდებულია, პრაქტიკის გავლის პერიოდში სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსის უშუალო მითითების შემთხვევაში, აწარმოოს პირადი მოსწრების დღიური და მასში ასახოს ჩატარებული სამუშაო თემატიკა.

3. პრაქტიკანტი ვალდებულია ყოველდღიურად გამოცხადდეს სამსახურში, რაზეც კონტროლს ახორციელებს მისი უშუალო ხელმძღვანელი.

4. ხელწერილი სამსახურის დებულებისა და შინაგანაწესის გაცნობის შესახებ თან ერთვის პრაქტიკანტის პირად საქმეს.



თავი V

სამსახურის უფლება-მოვალეობანი

მუხლი 12

სამსახური პრაქტიკანტს უქმნის სათანადო პირობებს პროფესიული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად.

მუხლი 13

1. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი პირადად აკონტროლებს პრაქტიკანტის მიერ პირადი მოსწრების დღიურის წარმოებას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იგი პრაქტიკანტს პერიოდულად აწვდის სასწავლო თემატიკას, ამლევს დავალებებს და უშუალო ხელმძღვანელთან ერთად აკონტროლებს მათ შესრულებას.

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი ან უშუალო ხელმძღვანელი ვალდებულია პრაქტიკანტს მისცეს მიმართულება და განუსაზღვროს შესასრულებელი სამუშაოს კონკრეტული ვადა, მიაწოდოს აღნიშნულთან დაკავშირებით დროული და სწორი ინფორმაცია.

მუხლი 14

სამსახურის შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსი ვალდებულია ყოველკვარტალურად მიაწოდოს ინფორმაცია სამსახურის აპარატს პრაქტიკის მიმდინარეობის შესახებ.

თავი VI

პრაქტიკის გავლის სხვა პირობები

მუხლი 15

1. პრაქტიკის ვადის გასვლის შემდეგ პრაქტიკანტი სამსახურის აპარატში წარმოადგენს უშუალო ხელმძღვანელთან და შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის უფროსთან შეთანხმებულ რეფერატს იმ სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, სადაც იგი გადიოდა პრაქტიკას.

2. პრაქტიკანტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული რეფერატის წარმოდგენის შემდეგ პრაქტიკანტს უტარდება გასაუბრება.

3. გასაუბრებას ატარებს სამსახურის უფროსის ბრძანებით შექმნილი კომისია, რომელიც ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მონაცემის და პრაქტიკანტის ხელმძღვანელის რეკომენდაციის გათვალისწინებით იღებს შემდეგ გადაწყვეტილებას:

- ა) პრაქტიკის შედეგების დადებითი შეფასების შესახებ;
- ბ) პრაქტიკის შედეგების უარყოფითი შეფასების შესახებ.

4. გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე და შესაბამისი სტრუქტურულ ქვედანაყოფში ვაკანსიის არსებობის შემთხვევაში დაწესებულების ხელმძღვანელს შეუძლია პრაქტიკანტი დანიშნოს ვაკანტურ თანამდებობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 16

1. პრაქტიკის შეწყვეტის საფუძვლებია:



ა) პრაქტიკის გავლის პერიოდში არასაპატიო მიზეზით 5 სამუშაო დღის განმავლობაში შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფში გამოუცხადებლობა;

ბ) დავალების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება;

გ) პირადი განცხადება;

დ) ამ წესის მე-17 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა.

2. პრაქტიკის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის უფროსი, სამსახურის აპარატის მიერ სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფებიდან წარმოდგენილი წარდგინების შესაბამისად მომზადებული წინადადების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

მუხლი 17

იმ შემთხვევაში, თუ პრაქტიკანტი დადგენილი წესით დაინიშნა სამსახურის სტრუქტურულ ქვედანაყოფში სამსახურის სამტატო ერთეულით გათვალისწინებულ თანამდებობაზე, მას პრაქტიკა ჩაეთვლება გავლილად და ეძლევა შესაბამისი მოწმობა (ცნობა).

დანართი №2

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური

განაცხადი პრაქტიკის გავლის შესახებ

1. გვარი, სახელი -----

2. დაბადების ადგილი, თარიღი -----

3. მოქალაქეობა -----

4. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი -----

5. ოჯახური მდგომარეობა -----

6. საცხოვრებელი ადგილის მისამართი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა

7. განათლება (როდის, რომელი სასწავლებელი დაამთავრეთ)

ფაკულტეტი	როდიდან	როდემდე	სასწავლებელი

8. ამჟამად სწავლობთ თუ არა (მიუთითეთ სად)



9. სპეციალობა, კვალიფიკაცია და დიპლომის №

სპეციალობა	კვალიფიკაცია	დიპლომის №

10. რომელ უცხო ენებს ფლობთ, ცოდნის დონე;

შეაფასეთ ცოდნის დონე შემდეგი ტერმინებით: სუსტად, საშუალოდ, კარგად, სრულყოფილად.

ენა	კითხვა	მეტყველება	წერა

11. კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

12. რატომ აირჩიეთ სპეციალობა, მოკლედ ჩამოაყალიბეთ თქვენი პროფესიული გეგმები და მიზნები

13. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის რომელ სტრუქტურულ ქვედანაყოფში გასურთ პრაქტიკის გავლა

(მიუთითეთ ორი სტრუქტურული ქვედანაყოფი პრიორიტეტების მიხედვით)

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის:

- აპარატი
 აუდიტისა და პროფესიული განათლების ზედამხედველობის დეპარტამენტი
 ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების ზედამხედველობის დეპარტამენტი

14. შრომითი გამოცდილება

როდიდან-როდემდე	უწყება, ორგანიზაცია	თანამდებობა	მისამართი



15. სპეციალური ან პროფილური ჩვევები (მიუთითეთ რა კურსები ან ტრენინგები გაქვთ გავლილი, სად, როდის).

16. სამხედრო სამსახურისადმი დამოკიდებულება და სამხედრო წოდება; როდის გაქვთ მინიჭებული და რომელი ორგანოს – დაწესებულების მიერ

17. გთხოვთ წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები:

- ა) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- ბ) თქვენი ავტობიოგრაფია (CV);
- გ) ფოტოსურათი;
- დ) დიპლომის ასლი (ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან).

შევსების თარიღი -----

ხელმოწერა -----

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №298

2016 წლის 1 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 ოქტომბრის №824 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 31 ოქტომბრის №824 ბრძანებით (სსმ III ნაწილი, 4.11.2008, №159, მუხლი 1595) დამტკიცებულ დებულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ჟ“ ქვეპუნქტი:



„ჟ) სამინისტროსა და მის მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების მიერ მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების საქართველოს მთავრობაში განსახილველად წარდგენის უზრუნველყოფა. საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამონაკლის შემთხვევებში, სამართლებრივი აქტების პროექტების საქართველოს მთავრობაში წარდგენა შესაძლოა უზრუნველყოს სხვა შესაბამისმა სტრუქტურულმა ქვედანაყოფმა.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/658

2016 წლის 5 დეკემბერი, ქ. თბილისი

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში შესრულებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების საფასურის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 3 აგვისტოს №1-1/410 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში შესრულებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების საფასურის ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2016 წლის 3 აგვისტოს №1-1/410 ბრძანებით (ვებგვერდი, 03/08/2016, ს/კ: 370040000.22.024.016455) დამტკიცებულ სახელმწიფო პროექტის ფარგლებში შესრულებული საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების საფასურის ანაზღაურების წესში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის მე-3 პუნქტის შემდეგი დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:



„3¹ ბრძანების მოქმედება ასევე ვრცელდება „საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციასა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 ივნისის №231 დადგენილების ფარგლებში სარეგისტრაციო მონაცემების კორექტირება/ცვლილების მიზნით განხორციელებულ აზომვით სამუშაოებზე.“.

2. მე-3 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. მიწის კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის დასრულებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, რეესტრი, ელექტრონული პორტალის (economy-nasp.napr.gov.ge/nasp-ის ნაწილი) მეშვეობით წარუდგენს სააგენტოს ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ დოკუმენტებს, შემდგომში ამ წესის შესაბამისად ხარჯების ანაზღაურების მიზნით.“.

3. მე-4 მუხლის 1¹ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1¹. თუ დაინტერესებული პირის საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის ან მიწის მართლზომიერი მფლობელობის (სარგებლობის) დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწა, რეესტრში დარეგისტრირდა გეოგრაფიულად ერთმანეთის მომიჯნავე ცალკე რეგისტრაციის ობიექტებად, ანაზღაურებას ექვემდებარება მათგან მხოლოდ ერთ სარეგისტრაციო ობიექტის აზომვით სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2016 წლის 4 აგვისტოდან წარმომობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს ეკონომიკისა და

მდგრადი განვითარების მინისტრი

გიორგი გახარია





საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის

ბრძანება №91

2016 წლის 30 ნოემბერი, ქ. თბილისი

„ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

“ნორმატიული აქტების შესახებ” საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს №77 ბრძანებით დამტკიცებულ ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებში (სსმ, №117, 31/08/2006 წ., სარეგისტრაციო კოდი: 300.300.000.22.025.009.162) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბაზრის წესების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „წ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„წ) საექსპორტოდ ნებადართული მოცულობა – ელექტროენერჯის (სიმძლავრის) დამტკიცებული წლიური ბალანსით გათვალისწინებული ექსპორტის ჯამური მოცულობა ყოველი საანგარიშო პერიოდისთვის;

წ.ა) შემცირებული ამ წესების 14¹² მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „ბ“ პრიორიტეტულობის ჯგუფს მიკუთვნებული საექსპორტო ელექტროენერჯის მოცულობით;

წ.ბ) შემცირებული მეზობელ ქვეყანასთან სინქრონული პარალელური მუშაობის უზრუნველსაყოფად საჭირო საექსპორტო მოცულობით, რომელიც ყოველი თვისათვის დგინდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ მგვტ-ებში „ATC“-ს ან/და „CAA“-ს განაწილებამდე. საექსპორტოდ ნებადართულ მოცულობას არ წარმოადგენს ამ წესების 14¹² მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული „ა“ და „ბ“ პრიორიტეტულობის ჯგუფს მიკუთვნებული საექსპორტო ელექტროენერჯია;

წ.გ) გაზრდილი ამ წესების 14¹² მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მშენებლობის პროცესში მყოფი განახლებადი ენერჯის წყაროზე მომუშავე ელექტროსადგურის (მათ შორის, ჰიდროელექტროსადგურის) მიერ, გამომუშავებული ელექტროენერჯის იმ მოცულობით, რომლის ექსპორტიც მოთხოვნილია ამ წესების 14¹⁵ მუხლის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს ახალი ელექტროსადგურის მშენებლობის თაობაზე საქართველოს მთავრობასა და შესაბამის პირს შორის გაფორმებულ შეთანხმებაში მოცემული პერიოდისა და მოცულობისა.“.



მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრი

კახა კალაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №160/ნ

2016 წლის 9 დეკემბერი, ქ. თბილისი

„უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებაში (სსმ, №14, 05/02/2010) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ (დანართი №1) მე-5 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1¹ პუნქტი:

„1¹. დაწესებულებისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის ან ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში ამ დაწესებულების სტუდენტთა მობილობა დამატებით შესაძლებელია განხორციელდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულისაგან განსხვავებულ, ცენტრის დირექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში. ასეთ შემთხვევაში ამ წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი ვადა განისაზღვრება ამ პუნქტით გათვალისწინებული ცენტრის დირექტორის ბრძანებით.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ალექსანდრე ჯეჯელავა



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №159/ნ

2016 წლის 7 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №675 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 აგვისტოს №675 ბრძანებაში (სსმ, 119, 23/08/2007) და ბრძანების:

1. მე-2 პუნქტით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სრული ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. პირი თავისუფლდება ამ დანართის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ცნობის ან დოკუმენტის წარმოდგენისაგან „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სრული ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში ჩარიცხვის შემთხვევაში.“.

2. 2¹ პუნქტით დამტკიცებული განვითარების შეფერხების, სენსორული, ქცევისა და ემოციური დარღვევის მქონე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიერ სპეციალიზებულ სკოლებში ჩასარიცხად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის 3³ პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„3³. პირი თავისუფლდება ამ დანართის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული ცნობის ან დოკუმენტის წარმოდგენისაგან „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად სპეციალიზირებულ სკოლებში ჩარიცხვის შემთხვევაში.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ალექსანდრე ჯეჯელავა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №157/ნ

2016 წლის 7 დეკემბერი, ქ. თბილისი

„საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალური ოდენობისა და პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 28 სექტემბრის №126/ნ ბრძანებაში (www.matsne.gov.ge, 28/09/2015; სარეგისტრაციო კოდი: 270090000.22.022.017033) და ბრძანების პირველი მუხლით დადგენილი დანართის:

1. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„დ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, აგრეთვე 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება – 1.1;“.

2. დანართი №1-ის „განათლებისა და კვალიფიკაციის“ №4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4	მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, აგრეთვე 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება	1.1	524.48
---	--	-----	--------

3. დანართი №2-ის „განათლებისა და კვალიფიკაციის“ №4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4	მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, აგრეთვე 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება	1.1	542.70
---	--	-----	--------

4. დანართი №3-ის „განათლებისა და კვალიფიკაციის“ №4 გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

4	მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, აგრეთვე 2000 წლის ჩათვლით მიღებული 4-წლიანი უმაღლესი პედაგოგიური განათლება	1.1	548.78
---	--	-----	--------

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი

ალექსანდრე ჯეჯელავა

=====

=====



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბრძანება №01-48/ნ

2016 წლის 5 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ამბულატორიულად/დღის სტაციონარის პირობებში განსახორციელებელი, მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის/მომსახურების მიმწოდებელთათვის სავალდებულო შეტყობინების ფორმისა და წესის და რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 7 დეკემბრის №398/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„ამბულატორიულად/დღის სტაციონარის პირობებში განსახორციელებელი, მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის/მომსახურების მიმწოდებელთათვის სავალდებულო შეტყობინების ფორმისა და წესის და რეესტრის წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 7 დეკემბრის №398/ნ ბრძანების (სსმ, №160, 07/12/2010) 1¹ დანართის (შეტყობინების ფორმა) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ინფორმაცია მაღალი რისკის შემცველი სამედიცინო საქმიანობის/საქმიანობების შესახებ:

დაწყება	დასრულება
° სტომატოლოგია ----- -----	° სტომატოლოგია ----- -----
° ქირურგია (ყველა პროფილის, მ.შ. ოფთალმოქირურგია) ----- ----- -----	° ქირურგია (ყველა პროფილის, მ.შ. ოფთალმოქირურგია) ----- ----- -----°



მეანობა-გინეკოლოგია

° გადაუდებელი სამედიცინო

დახმარება (Emergency)

° დერმატოვენეროლოგია (მ.შ.

დერმატოკოსმეტოლოგია)

° რადიოლოგია

(გარდა ულტრაბგერითი დიაგნოსტიკისა)

° დიალიზი

° ინფექციურ დაავადებებთან

(მათ შორის, აივ ინფექციასთან/შიდსთან)

დაკავშირებული საქმიანობა

° ფთიზიატრია

° ენდოსკოპია

° იმუნოზაცია

° ოფთალმოლოგიური სერვისის ფარგლებში

ორგანოთა ნაწილების, ქსოვილებისა და

უჯრედების აღება და/ან შენახვა და/ან გადანერგვა

° ლაბორატორია (ლაბორატორიული სერვისის

მიმწოდებელი, რომელიც ახორციელებს

ადამიანის ბიოლოგიური მასალის

ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას)

° მეანობა-გინეკოლოგია

° გადაუდებელი სამედიცინო

დახმარება (Emergency)

° დერმატოვენეროლოგია (მ.შ.

დერმატოკოსმეტოლოგია)

° რადიოლოგი

(გარდა ულტრაბგერითი დიაგნოსტიკისა)

° დიალიზი

° ინფექციურ დაავადებებთან

(მათ შორის, აივ ინფექციასთან/შიდსთან)

დაკავშირებული საქმიანობა

° ფთიზიატრია

° ენდოსკოპია

° იმუნოზაცია

° ოფთალმოლოგიური სერვისის ფარგლებში ორგანოს,

ორგანოს, ორგანოთა ნაწილების, ქსოვილებისა და

უჯრედების აღება და/ან შენახვა და/ან გადანერგვა

° ლაბორატორია (ლაბორატორიული სერვისის

მიმწოდებელი, რომელიც ახორციელებს

ადამიანის ბიოლოგიური მასალის

ლაბორატორიულ დიაგნოსტიკას)



..

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და

სოციალური დაცვის მინისტრი

დავით სერგეენკო

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსის

ბრძანება №17

2016 წლის 7 დეკემბერი, ქ. თბილისი

**სადაზღვევო საქმიანობის დაწყებიდან მომდევნო სამი წლის ბიზნესგეგმის
ძირითადი მონაცემების და ფორმის დამტკიცების შესახებ**

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „უ“ ქვეპუნქტის, ამავე კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და 2013 წლის 2 მაისის საქართველოს მთავრობის დადგენილება №102-ის თანახმად დამტკიცებული სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

დამტკიცდეს „სადაზღვევო საქმიანობის დაწყებიდან მომდევნო სამი წლის ბიზნესგეგმის ძირითადი მონაცემები და ფორმა“ თანდართული სახით.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის

სამსახურის უფროსი

იოსებ გოგოლაშვილი



**სადაზღვევო საქმიანობის დაწყებიდან მომდევნო სამი წლის ბიზნესგეგმის
ძირითადი მონაცემები და ფორმა**

მუხლი 1

1. წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის „უ“ ქვეპუნქტის და 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ადგენს სადაზღვევო საქმიანობის დაწყებიდან მომდევნო სამი წლის ბიზნესგეგმის ძირითად მონაცემებს და ფორმას, სსიპ -საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში (შემდგომში - სამსახური) მისი, ასევე მასში ცვლილებების წარდგენის წესს.

2. წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს სადაზღვევო საქმიანობის დაწყებიდან მომდევნო სამი წლის სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიმოხილვას, მზღვეველის საქმიანობის თავისებურებების შეფასებას, კომპანიის განვითარების ტენდენციების მზღვეველის მმართველი ორგანოს მიერ მონიტორინგის და საქმიანობის სხვადასხვა ეტაპზე კომპანიის ეფექტურობის შეფასების შესაძლებლობას.

მუხლი 2

1. სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის მოთხოვნისას სამსახურს წარედგინება ბიზნესგეგმა „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ სადაზღვევო საქმიანობაზე კანონმდებლობით გათვალისწინებული სადაზღვევო საქმიანობის ცალკეული სახეობების მიხედვით.

2. მზღვეველი ვალდებულია ბიზნესგეგმის ძირითად მონაცემებში განხორციელებული არსებითი ცვლილებები ასახოს ბიზნეს-გეგმაში და შესაბამისი დასაბუთებით, ეკონომიკური და ფინანსური გაანგარიშებით, ასევე ბიზნეს გეგმის რედაქტირებული ვერსია სამსახურს წარუდგინოს ცვლილებების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

3. იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესგეგმაში ცვლილებები განხორციელებულია სამსახურის მიერ სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებამდე, ლიცენზიის მაძიებელი ვალდებულია სამსახურს წარუდგინოს სათანადო დოკუმენტები შესაბამისი ცვლილების შესახებ სალიცენზიო განაცხადის განხილვის პროცესში.

4. ლიცენზიის მაძიებლის/მზღვეველის მმართველი ორგანოს მიერ სათანადო წესით დამტკიცებული ბიზნეს-გეგმა/ბიზნესგეგმაში ცვლილებები სამსახურს წარედგინება დედნის ან მისი სათანადოდ დამოწმებული ასლის სახით.

მუხლი 3

1. სამსახურში წარდგენილ ბიზნესგეგმაში ასახული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი მონაცემები:



- ა) ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიის შესახებ;
- ბ) სადაზღვევო კომპანიის მართვა და ორგანიზაციული სტრუქტურა;
- გ) კომპანიის სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები/სახეობები, მათი განხორციელების/რეალიზაციის საშუალებები;
- დ) კომპანიის სამომავლო სადაზღვევო საქმიანობის სახეობების მიხედვით ბაზრის კვლევის ანალიზი და პროგნოზი, ბაზრის რისკების შეფასება, მისი ანალიზი და მართვა;
- ე) სატარიფო განაკვეთის სტრუქტურა;
- ვ) ფინანსური გეგმა და ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზი;
- ზ) ზარალის დარეგულირების პოლიტიკა/პროცედურები, ზიანის ანაზღაურების სქემა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები;
- თ) გადაზღვევის პროგრამა;
- ი) მარკეტინგი/მარკეტინგული კვლევები;
- კ) კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკა.

მუხლი 4

წინამდებარე დოკუმენტის მე-3 მუხლში მოცემულ თითოეულ მონაცემში ასახული უნდა იყოს:

1. ინფორმაცია სადაზღვევო კომპანიის შესახებ:

- ა) სადაზღვევო კომპანიის დასახელება, საიდენტიფიკაციო მონაცემები, აქციონერი/აქციონერების დასახელება და მნიშვნელოვანი წილის მფლობელი აქციონერი/აქციონერების საქმიანობის მოკლე აღწერილობა;
- ბ) იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი;
- გ) ფილიალების, სერვისცენტრების შექმნის შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- ე) ინფორმაცია იმ უძრავი ქონების შესახებ, სადაც განთავსდება მზღვეველის სათავო ოფისი/ფილიალი/სერვის-ცენტრი.

2. სადაზღვევო კომპანიის მართვა და ორგანიზაციული სტრუქტურა:

- ა) კომპანიის მმართველი ორგანოები და მათი ფორმირების წესი, ორგანიზაციული სტრუქტურის მიმოხილვა სტრუქტურული ერთეულების ძირითადი ამოცანების და ფუნქციების მითითებით, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელი პირების შერჩევის კრიტერიუმები;



ბ) შიდა აუდიტის სისტემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) – სტრუქტურა, ამოცანები, ფუნქციები, უფლებამოსილება, შიდა აუდიტისა და კომპანიის სხვა სტრუქტურული ერთეულების ურთიერთობის სისტემა);

გ) აქტუარული ფუნქცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

დ) მართვის შიდა სტანდარტები, პროცედურები, მომსახურების ხარისხის მართვის და კონტროლის სისტემა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების ფაქტების თავიდან აცილების სტანდარტები და პროცედურები;

ე) საკადრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები და ადამიანური რესურსების მართვის სისტემა;

ვ) ორგანიზაციული სტრუქტურის ხარჯები, დაფინანსების წყაროები და საპროგნოზო მაჩვენებლები.

3. სადაზღვევო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები/სახეობები, მათი განხორციელების/რეალიზაციის მეთოდები:

ა) სადაზღვევო საქმიანობის სახეობები, შესაბამისი პროდუქტის/პროდუქტების ძირითადი მახასიათებლები (შემადგენლობა, რისკები, სადაზღვევო დაფარვა);

ბ) დაზღვევის სახეობების მიხედვით სადაზღვევო რისკის შეფასების (ანდერაიტინგის) ძირითადი კრიტერიუმები;

გ) დაზღვევის თითოეული სახეობის სავარაუდო წილის მოცულობა სადაზღვევო პორტფელში, ამ წილის დაკავების საშუალებები, მომხმარებელთა მიზნობრივი სეგმენტი, რეალიზაციის სქემა (მეთოდები).

4. კომპანიის სამომავლო სადაზღვევო საქმიანობის სახეობების მიხედვით ბაზრის კვლევის ანალიზი და პროგნოზი, ბაზრის რისკების შეფასება, მისი ანალიზი და მართვა:

ა) სადაზღვევო ბაზრის მოკლე მიმოხილვა (ბაზრის მოცულობა, ბაზრის მონაწილეები);

ბ) მიზნობრივ ბაზარზე სავარაუდო წილი დაზღვევის სახეობების მიხედვით, მისი მოცვის პერსპექტივები, მიზნობრივ სეგმენტთან მუშაობის სტრატეგიის გათვალისწინებით;

გ) ბაზრის რისკების შეფასება, ანალიზი და მართვის მექანიზმები.

5. სატარიფო განაკვეთის სტრუქტურა:

ა) სატარიფო განაკვეთის სტრუქტურა დაზღვევის სახეობების მიხედვით (ნეტო განაკვეთი, დატვირთვა, მოგება, ბრუტო განაკვეთი);



ბ) სადაზღვევო პრემიის გაანგარიშების პრინციპები დაზღვევის სახეობების მიხედვით.

6. ფინანსური გეგმა და ფინანსური მაჩვენებლების პროგნოზი:

ა) საპროგნოზო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (საბალანსო უწყისი);

ბ) საპროგნოზო სრული შემოსავლის ანგარიშგება (მოგება-ზარალის უწყისი);

გ) საპროგნოზო კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება;

დ) საპროგნოზო ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი (არაპირდაპირი მეთოდით);

ე) საპროგნოზო შემოსავლები და ხარჯები დაზღვევის სახეობების მიხედვით;

ვ) ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები;

ზ) გადახდისუნარიანობის მარჟის და საზედამხედველო კაპიტალის გაანგარიშება ყოველი კალენდარული წლისთვის;

თ) აუცილებლობის შემთხვევაში დამატებითი დაფინანსების წყაროები;

ი) აქციონერებისთვის დივიდენდების გაცემის პოლიტიკა.

7. ზარალის დარეგულირების პოლიტიკა, ზიანის ანაზღაურების სქემა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები:

ა) ზარალის დარეგულირების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები;

ბ) ზარალის/ზიანის ანაზღაურების სისტემა და მექანიზმები (შიდა ინსტრუქციები, წესები, სახელმძღვანელოები);

გ) მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმები, პროცედურები, სტანდარტები, მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვისა და რეგულირების სისტემა, პროცედურები.

8. გადაზღვევის პროგრამა:

ა) გადაზღვევის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები (მათ შორის მიღებული გადაზღვევა), პოტენციური გადამზღვეველი ორგანიზაციები, მათი სადაზღვევო ბაზარზე საქმიანობის გამოცდილება და ხანგრძლივობა, ადგილმდებარეობა;

ბ) გადაზღვევის ძირითადი ფორმები და მეთოდები დაზღვევის სახეობების მიხედვით (მათ შორის, მიღებული გადაზღვევა);

გ) გადამზღვეველი ორგანიზაციის შეფასების/შერჩევის ზოგადი კრიტერიუმები, მათ შორის, საერთაშორისო სარეიტინგო კომპანიის შეფასება და რომელიმე მათგანის მიერ მინიჭებული მინიმალური რეიტინგი.



9. მარკეტინგული სტრატეგია/კვლევა:

ა) დარგის კვლევა/კვლევის მეთოდები, განვითარების პროგნოზები, რომელშიც კომპანია გეგმავს საქმიანობას;

ბ) სადაზღვევო პროდუქტების რეალიზაციის სისტემის ორგანიზება;

გ) სადაზღვევო პროდუქტების რეალიზაციის მეთოდები: პირდაპირი გაყიდვები, გაყიდვები დაზღვევის შუამავლების მეშვეობით, გაყიდვები ელექტრონული/სხვა მეთოდებით;

დ) სადაზღვევო პროდუქტის/მომსახურების გასაღების სტიმულირება და მისი სრულყოფის პერსპექტივები;

ე) მარკეტინგული/სარეკლამო საქმიანობის ძირითადი მიმართულებები და ხარჯების პროგნოზი.

10. კომპანიის საინვესტიციო პოლიტიკა:

ა) ინვესტირების მიზნები და ძირითადი მიმართულებები;

ბ) საინვესტიციო პორტფელის ფორმირების პრინციპები, შემოსავლიანობა, ინვესტიციის მიმართულებების დივერსიფიცირება და აქტივების შეფასების მეთოდი;

გ) საინვესტიციო შეზღუდვები აქტივების მიხედვით;

დ) ინვესტიციების მართვის სისტემა და პროცედურები.

მუხლი 5

ბიზნესგეგმაში უნდა აისახოს ბიზნესგეგმის შესრულების მონიტორინგის პროცედურები და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირებისა და კონტროლის სისტემა.





სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის

ბრძანება №16

2016 წლის 2 დეკემბერი, ქ. თბილისი

„ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

მუხლი 1

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 4 დეკემბრის №11 ბრძანებით დამტკიცებული „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების“ (www.matsne.gov.ge, 010240060.57.069.016051, 4.12.2014) მე-6 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებული ყველაზე დაბალი საბოლოო ფასიდან გამოითვლება Z აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოგისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები და საწარმოს მოგება) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z = \left(\frac{C_{bid} \cdot 1000}{D \cdot 1,18} - A_{nov} \right) \cdot \frac{1}{R_{nov}} - P_{nov}$$

სადაც ცვლადების აღნიშვნა შემოღებულია შემდეგნაირად:

C_{bid} – ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ შესაბამისი მარკის საწვავზე (ლარში);

R_{nov} – აშშ დოლართან მიმართებით ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დამთავრების წინა თვის საშუალო არითმეტიკული;

D – მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი შესაბამისი მარკის საწვავის სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ³);



P_{nov} – PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) შესაბამისი მარკის საწვავის ერთი მეტრული ტონის კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დამთავრების წინა თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში (შემდგომში – პლაცის ნიშნული);

A_{nov} – კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დამთავრების წინა თვეში ერთ მეტრულ ტონა შესაბამისი მარკის საწვავზე აქციზის ოდენობა ლარებში.

Z და D სიდიდეები უცვლელია სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი ვადით.

2. მიმწოდებელი ყოველი მიმდინარე კალენდარული თვისათვის განსაზღვრავს 1 ლიტრი შესაბამისი მარკის საწვავის ნომინალურ ღირებულებას (შემდგომში – ნომინალური ღირებულება – C_{nom}) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z = \left(\frac{C_{nom} \cdot 1000}{D \cdot 1,18} - A_{nov} \right) \cdot \frac{1}{R_{nov}} - P_{nov}$$

სადაც: P და R წარმოადგენს ყოველი მიმდინარე თვის წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეებს, A – მიმდინარე თვისთვის მოქმედ ერთ მეტრულ ტონა შესაბამისი მარკის საწვავზე აქციზის ოდენობას ლარებში, 18% – დღგ, ხოლო Z და D – ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ გამარჯვებული სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ უცვლელ სიდიდეებს.

3. ნავთობპროდუქციის (საწვავის) ფასის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მისი ღირებულების საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასზე (P), აშშ დოლართან მიმართებით ეროვნული ვალუტის ოფიციალურ გაცვლით კურსზე (R) ან/და ერთ მეტრულ ტონა საწვავზე აქციზის ოდენობაზე დამოკიდებულების გამო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას ყოველთვიურად წარუდგინოს ნომინალურ ღირებულებაზე დაყრდნობით გამოთვლილი მიმდინარე თვის განმავლობაში მისაწოდებელი საქონლის ერთეულის ფასი (მიმდინარე თვის სახელშეკრულებო ფასი – C_1).“.

მუხლი 2

1. ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 2 დეკემბრიდან.

2. ბრძანების მოქმედება არ გავრცელდეს ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2016 წლის კონსოლიდირებული ტენდერების ჩატარების შედეგად წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარე

ლევან რაზმაძე



i n s t r u q c i a

საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №311

2016 წლის 9 დეკემბერი, ქ. თბილისი

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31

დეკემბრის №996 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

მუხლი 1

„გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით (სსმ, ვებგვერდი, 060111, 03/01/2011, 200090000.22.033.016112) დამტკიცებული ინსტრუქციის 112-ე მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შერჩეულ პირს არააქციზური საქონლის სავალდებულო მარკირების ნომინალური ღირებულება აუნაზღაურდება შემოსავლების სამსახურის მიერ, შერჩეულ პირთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.


საქართველოს ფინანსთა მინისტრი

დიმიტრი ქუმსიშვილი



komentarebi /manual ebi

2008 წლის 8 აგვისტოსთვის ძალაში მყოფი მშენებლობის ნებართვით ან/და შეთანხმებული არქიტექტურული პროექტების მიხედვით განსაზღვრულ ობიექტებში უძრავი ქონების მიწოდების დაბეგვრა 1197





ანოტაცია

„2008 წლის 8 აგვისტოსთვის ძალაში მყოფი მშენებლობის ნებართვით ან/და შეთანხმებული არქიტექტურული პროექტების მიხედვით განსაზღვრულ ობიექტებში უძრავი ქონების მიწოდების დაბეგვრა“ №1197 სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

2015 წლის 20 მარტის (№3407-III) საქართველოს კანონით საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც სსკ-ის 309-ე მუხლს დაემატა 79-ე-81-ე ნაწილები. კანონის მოქმედება ვრცელდება 2015 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ცვლილების მიზანია შეჩერებული მშენებლობების დასრულების ხელშეწყობა დღე-ში საგადასახადო შეღავათის დაწესების გზით.


სიტუაციური სახელმძღვანელოს მიზანია მასში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებების პირობებში, გადასახადის გადამხდელის მიერ უძრავი ქონების (ობიექტი, რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ საცხოვრებლადაა განკუთვნილი) მიწოდება დაექვემდებაროს დაბეგვრას.

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, მიწოდებული უძრავი ქონება განთავსებულია 2008 წლის 8 აგვისტოსთვის ძალაში მყოფი მშენებლობის ნებართვით გათვალისწინებულ ობიექტში, ან იმ ობიექტში, რომელზედაც 2008 წლის 8 აგვისტოს მდგომარეობით საპროექტო დოკუმენტაცია (არქიტექტურული პროექტი) უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული იყო, ხოლო მშენებლობის ნებართვა შემდგომ გაიცა. ამავდროულად, მიწოდებული საცხოვრებელი ბინა შეტანილია იმ ობიექტთა ნუსხაში, რომელსაც განსაზღვრავს (ამტკიცებს) შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.

იმის გათვალისწინებით, რომ უძრავი ქონება უფლებამოსილი ორგანოს მიერ სათანადო ადმინისტრაციული აქტის საფუძველზე ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა საგადასახადო შეღავათის (ჩათვლის უფლებით დღე-ისაგან გათავისუფლების) შესახებ ხსენებული კანონის მიღებამდე, ამ ობიექტის მიხედვით უძრავი ქონების მიწოდება, თუნდაც იგი შეტანილი იყოს შესაბამის რეესტრში, დაექვემდებარება დღე-ით დაბეგვრას.



სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების დაბეგრა დღ-ით 1198





ანოტაცია

„სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების დაბეგვრა დღგ-ით“ №1198

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების დღგ-ით დაბეგვრის საკითხს.

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, დღგ-ის გადამხდელმა საწარმომ შეიძინა საქართველოში წარმოებული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაუმუშავებელი ტყავი და განახორციელა მისი რეალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე. დღგ-ის გადამხდელმა საწარმომ, რომელმაც განახორციელა შექმნილი საქონლის რეალიზაცია, დღგ-ით არ დაბეგრა მიწოდებული საქონელი.

სსკ-ის 168-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ფ“ ქვეპუნქტის თანახმად, დღგ-ისგან ჩათვლის უფლებით გათავისუფლებულია საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის (გარდა სეს ესნ-ის 0407 00 190 00 და 0407 00 300 00 კოდებში მითითებული საქონლისა (კვერცხისა) და 0207 11 სუბპოზიციაში მითითებული საქონლისა (შინაური ქათამი აუქნელი, ახალი ან გაციებული)) მიწოდება, მის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე). სსკ-ის მე-8 მუხლის შესაბამისად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებად (სასაქონლო კოდის შეცვლად) არ ითვლება ბიოლოგიური ტრანსფორმაციის შედეგად სასაქონლო კოდის შეცვლა, აგრეთვე ბიოლოგიური აქტივიდან ნაყოფის მიღება (პროდუქციის მოცილება ან ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის პროცესის შეწყვეტა).

ამდენად, დაუმუშავებელი ტყავი წარმოადგენს ბიოლოგიური აქტივის სიცოცხლის შეწყვეტის შედეგად მიღებულ პროდუქტს და შესაბამისად სოფლის მეურნეობის პროდუქციას.

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართალდარღვევა არ იკვეთება და საგადასახადო ვალდებულების დაკისრება არ ხდება.

=====



სსიპ-ის მიერ უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების დღე-ით დაბეგრვა 1199

ფაქტობრივი გარემოებები

საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელიც ევლემანისილენის ფარგლებში ახორციელებს მხოლოდ ფსიქიკ მომსახურებას, საკუთარი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში სარგებლობს უსასყიდლო მომსახურება გაწევა პირებს.

სსიპ-მა პირებს გაწევა უსასყიდლო მომსახურება, რომლის გაწევის პირობები (მათ შორის, საფასურის გარეშე) განაზღვრული იყო სამართლებრივი აქტით (კანონით, საქართველოს მთავრობის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სამართლებრივი აქტით). სსიპ-მა უსასყიდლოდ გაწეული მომსახურება არ დაბეგრვა დამატებული ღირებულების გადასახადით.

შეფასება

სსიპ-ის მიერ გაწეული მომსახურების დაბეგრვა უსასყიდლოდ, ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება წესდებით განსაზღვრული, რომელიც ხორციელდება მოგების, შემოსავლის ან კომერციული მოსახლეობის მიზნებისთვის. ამგვარი საქმიანობის შედეგებისა, თუ ამ მიზნით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამგვარ მიზნის მიერ ნაწილის ან ქვეტექტის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების, ეროვნული მარეგულირებელი ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული მათთვის საქმიანობის კანონმდებლობით მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, გარდა ხელშეწყობის სფეროებზე ფსიქიკ მომსახურების გაწევისა, ხოლო ამგვარ მიზნის მიერ ნაწილის ან ქვეტექტის შესაბამისად, უსასყიდლოდ საქმიანობის მიწოდება/მომსახურების გაწევა ეკონომიკურ საქმიანობად ითვლება, თუ იგი განხორციელდა სანარმოო.

სსიპ-ის მიერ 15 მიზნის მიერ 2 ნაწილის თანახმად, მომსახურების გაწევა ითვლება პირის მიერ სხვა პირისათვის მისივე წესით, კომპენსაციის მიზნით ან უსასყიდლოდ იხდით მოქმედების შესრულებას, რომელიც არ არის საქმიანობის მიწოდება.

ამგვარ კონტექსტის მიერ ნაწილის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ითვლებიან ორგანიზაციებად, ხოლო ამგვარ მიზნის მიერ 4 ნაწილის თანახმად, თუ ორგანიზაცია ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მათი ქონებისა და საქმიანობის ნაწილი, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია მის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ითვლება სანარმოო ქონებად და საქმიანობად, ხოლო იმ ნაწილში, სადა ამის გამოყენება შეუძლებელია, ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ქონებისა და საქმიანობის გამოყენების მიზნით გამოყენდება ორგანიზაციის მიერ მიღებულ შემოსავლით ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლის სეკურაითი წილი.

სსიპ-ის 161-ე მიზნის მიერ ნაწილის ან ქვეტექტის შესაბამისად, დღე-ით დასაბეგრი ოპერაციის საქმიანობის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში საქმიანობის მიწოდება ან/და მომსახურების გაწევა.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში საგადასახადო სამართლებრივად არ იცვლება.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, სსიპ წარმოადგენს ორგანიზაციას.

იძის გათვალისწინებით, რომ სსიპ-ის მიერ მომსახურების გაწევა არ ხდება შემოსავლის ან კომერციული მოსახლეობის მიზნებისთვის, არამედ აღნიშნული დაკავშირებულია მოსახლის კანონმდებლობით უშუალოდ მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, სსიპ-ის მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაწეული უსასყიდლო მომსახურება არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად.

ამდენად, სსიპ-ის მიერ, მოსახლის საქმიანობის კანონმდებლობით უშუალოდ მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, საფასურის გარეშე განხორციელებული საქმიანობა, გადასახადით დაბეგრვის მოხერხებისთვის არ წარმოადგენს დღე-ით დასაბეგრი ოპერაციას.



- Ø სსიპ თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს მხოლოდ ფასიან მომსახურებებს
- Ø მომსახურების მიმღებ პირთა წინასწარ იდენტიფიცირება შეუძლებელია
- Ø მოგების გადასახადით დაბეგვრის მიზნებისათვის იხილეთ №2528 სიტუაციური სახელმძღვანელო

ანოტაცია

„სსიპ-ის მიერ უსასყიდლოდ გაწეული მომსახურების დღგ-ით დაბეგვრა“ №1199

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელოს დამტკიცების მიზანია დაზუსტდეს, რა შემთხვევაში ექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლებას, სსიპ-ის მიერ უსასყიდლოდ გაწეული მომსახურება.

სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელიც უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს მხოლოდ ფასიან მომსახურებებს, თავისი წესდებით (დებულებით) გათვალისწინებული საქმიანობის ფარგლებში, უსასყიდლო მომსახურება გაუწია პირებს, რომელთა წინასწარ იდენტიფიცირებაც შეუძლებელია. მომსახურების გაწევის პირობები (მათ შორის, საფასურის გარეშე) განსაზღვრული იყო სამართლებრივი აქტით (კანონით, მთავრობის სამართლებრივი აქტით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს სამართლებრივი აქტით). სსიპ-მა უსასყიდლოდ გაწეული მომსახურება არ დაბეგრა დღგ-ით.

აღნიშნული საქმიანობის ნაწილში სსიპ წარმოადგენს ორგანიზაციას. იმის გათვალისწინებით, რომ სსიპ-ის მიერ მომსახურების გაწევა არ ხდება შემოსავლის ან კომპენსაციის მისაღებად, არამედ აღნიშნული დაკავშირებულია მისთვის კანონმდებლობით უშუალოდ მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან, სსიპ-ის მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, გაწეული უსასყიდლო მომსახურება არ განიხილება ეკონომიკურ საქმიანობად. ამდენად, სსიპ-ის მიერ, მისთვის საქართველოს კანონმდებლობით უშუალოდ მინიჭებული ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებით, საფასურის გარეშე განხორციელებული საქმიანობა, გადასახადით დაბეგვრის მიზნებისთვის არ წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრო პერაციას.



საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება 1511

ფაქტობრივი გარემოებები

ფიზიკურმა პირმა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართობი გაყიდა 2015 წლის თებერვალში.

აღნიშნული საცხოვრებელი ფართობი 2014 წლის მაისში რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული საკუთრების მოწმობის (02.02.2014 წ.) საფუძველზე.

ფიზიკური პირი 1998 წლიდან თვითნებურად ფლობდა ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ფართობს, რაც დაედო საფუძვლად საკრებულოს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებას, საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. ამონაწერში საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია 02.02.2014 წლის საკუთრების მოწმობა.

ფიზიკურმა პირმა 2016 წლის 1 აპრილს არ წარადგინა საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია.

შეფასება

სსკ-ის 82-ე მუხლის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგრისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი. ეს უკანასკნელი იანგარიშება როგორც სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შემენის ფასს შორის, ხოლო აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა, ამავე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, აითვლება მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღიდან. ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით, საკუთრების უფლების აღიარება გულისხმობს, შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფიზიკური პირისათვის მის მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესით საკუთრებაში სასყიდლოანი ან უსასყიდლო ფორმით გადაცემას.

აღსანიშნავია, რომ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი კომისიის მიერ გაცემულია ზემოაღნიშნული კანონის ამოქმედებამდე (21.09.2007 წლამდე) თვითნებურად დაკავების დადასტურებულ ფაქტზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იმის გათვალისწინებით, რომ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია 02.02.2014 წელს, გადასახადებით დაბეგრის მიზნებისთვის, საცხოვრებელი ფართობის ფლობის 2-წლიანი ვადა უნდა აითვალოს საკუთრების უფლების მოწმობის შედგენის თარიღიდან, კერძოდ, 02.02.2014 წლიდან. შესაბამისად, ფიზიკური პირი ვალდებული იყო, 2016 წლის 1 აპრილამდე წარმოედგინა საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია და საშემოსავლო გადასახადით დაბეგრა დასახლებული ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

ღონისძიებები

ფიზიკური პირი, სსკ-ის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით, დაჯარიმდება ამავე კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯარიმით.



ანოტაცია

„საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლება“ №1511

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს ფიზიკური პირის მიერ უძრავი ქონების რეალიზაციით მიღებული შემოსავლის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან გათავისუფლების საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, ფიზიკურმა პირმა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართობი გაყიდა 2015 წლის თებერვალში. აღნიშნული საცხოვრებელი ფართობი 2014 წლის მაისში რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ გაცემული საკუთრების მოწმობის (02.02.2014 წ.) საფუძველზე. ფიზიკური პირი 1998 წლიდან თვითნებურად ფლობდა ზემოაღნიშნულ საცხოვრებელ ფართობს, რაც დაედო საფუძვლად საკრებულოს შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებას, საკუთრების უფლების აღიარების შესახებ. ამონაწერში საკუთრების უფლების დამადასტურებელ დოკუმენტად მითითებულია 02.02.2014 წლის საკუთრების მოწმობა. ფიზიკურმა პირმა 2016 წლის 1 აპრილს არ წარადგინა საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 82-ე მუხლის შესაბამისად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ 2 წელზე მეტი ვადით საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის (სახლის) მასზე დამაგრებული მიწით რეალიზაციით მიღებული ნამეტი. ეს უკანასკნელი იანგარიშება როგორც სხვაობა აქტივის მიწოდების ფასსა და მასზე საკუთრების უფლების წარმოშობისას მისი შეძენის ფასს შორის. ხოლო აქტივის საკუთრებაში ფლობის 2-წლიანი ვადა, ამავე მუხლის მე-4 ნაწილიდან გამომდინარე, აითვლება მარეგისტრირებელ ორგანოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის შედგენის თარიღიდან. „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საკუთრების უფლების აღიარება გულისხმობს, შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ფიზიკური პირისათვის მის მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების წესით საკუთრებაში სასყიდლიანი ან უსასყიდლო ფორმით გადაცემას.



აღსანიშნავია, რომ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი კომისიის მიერ გაცემულია ზემოაღნიშნული კანონის ამოქმედებამდე (21.09.2007 წლამდე) თვითნებურად დაკავების დადასტურებულ ფაქტზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, იმის გათვალისწინებით, რომ საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია 02.02.2014 წელს, გადასახადებით დაბეგვრის მიზნებისთვის, საცხოვრებელი ფართობის ფლობის 2-წლიანი ვადა უნდა აითვალოს საკუთრების უფლების მოწმობის შედგენის თარიღიდან, კერძოდ, 02.02.2014 წლიდან.

შესაბამისად, ფიზიკური პირი ვალდებული იყო, 2016 წლის 1 აპრილამდე წარმოედგინა საშემოსავლო გადასახადის წლიური დეკლარაცია და საშემოსავლო გადასახადით დაებეგრა დასახელებული ქონების რეალიზაციით მიღებული ნამეტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ფიზიკური პირი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით, დაჯარიმდება ამავე კოდექსის 275-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ჯარიმით.





საწარმოს კაპიტალში შეტანილი პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგრა 2422

ფაქტობრივი გარემოებები

2013 წელს საწარმომ განახორციელა 10 000 ლარის პროცენტის გადახდა. პროცენტის მიმღებმა მიღებული პროცენტები შეიტანა პროცენტის გამცემი საწარმოს კაპიტალში. პროცენტის გამცემმა საწარმომ არ გაითვალისწინა სსკ-ის 309-ე მუხლის 31-33 ნაწილებით დადგენილი ნორმები და გადახდილი პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგროს 5%-იანი განაკვეთით.

შეფასება

სსკ-ის მე-60 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, გადასახადის გადახდადღეს უფლება აქვს ისარგებლოს საგადასახადო შეღავათით შუკაბანისი სამართლებრივი საფუძვლის წარმოშობის მომენტიდან მისი მოქმედების მოელი პერიოდის განმავლობაში.

სსკ-ის 309-ე მუხლის 31-33 ნაწილების თანახმად, 2014 წლის 1 იანვრამდე ამ კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადახდილი პროცენტი დაიბეგრება გადახდის წყაროსთან 0-პროცენტული განაკვეთით, თუ კმეოფილდება ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა პირობა:

- ა) პროცენტის მიმღებ საწარმოს პროცენტის თანხა შეაქვს პროცენტის გამცემი საწარმოს კაპიტალში;
- ბ) ამ კოდექსის 131-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გადახდილი პროცენტის გადახდის წყაროსთან 5-პროცენტული განაკვეთით დაბეგვრის მოქმედების პერიოდში არ შემვირდება პროცენტის განცემი საწარმოს კაპიტალი.

ამ მუხლის 31 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კაპიტალის შემცირებისთვის დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში კაპიტალში შეტანილი პროცენტი ექვემდებარება დაბეგვრას მისი კაპიტალში შეტანის მომენტისთვის არსებული კანონმდებლობის შუაბანისად, ან მუხლის 31 ნაწილის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს კაპიტალის შემცირება შესაძლებელია განხორციელდეს (მოსალოდნელია) მომავალში, პირი უფლებამოსილია, არ გაითვალისწინოს სსკ-ის 309-ე მუხლის 31-33 ნაწილებით დადგენილი ნორმები და გადახდილი პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგროს 5%-იანი განაკვეთით.

ღონისძიებები

პირის ქმედებაში სამართლებრივად არ იკვეთება და დამატებით საგადასახადო ვალდებულებების დაკისრება არ განხორციელდება.



ანოტაცია

„საწარმოს კაპიტალში შეტანილი პროცენტის გადახდის წყაროსთან დაბეგრა“
№2422

სიტუაციური სახელმძღვანელოს თაობაზე

წარმოდგენილი სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს მიღებული პროცენტის საწარმოს კაპიტალში შეტანისას პროცენტის გამცემი საწარმოს მიერ სსკ-ის 309-ე მუხლის 3¹-3² ნაწილებით დადგენილი ნორმების გამოყენების ვალდებულების შემთხვევას.


სიტუაციური სახელმძღვანელოს მიხედვით, საწარმომ 2013 წელს განახორციელა 10 000 ლარის პროცენტის გადახდა. პროცენტის მიმღებმა მიღებული პროცენტები შეიტანა პროცენტის გამცემი საწარმოს კაპიტალში. პროცენტის გამცემმა საწარმომ არ გაითვალისწინა სსკ-ის 309-ე მუხლის 3¹-3² ნაწილებით დადგენილი ნორმები და გადახდილი პროცენტი გადახდის წყაროსთან დაიბეგრა 5%-იანი განაკვეთით.

იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს კაპიტალის შემცირება შესაძლებელია განხორციელდეს (მოსალოდნელია) მომავალში, პირი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს სსკ-ის 309-ე მუხლის 3¹-3² ნაწილებით დადგენილი ნორმები და გადახდილი პროცენტი გადახდის წყაროსთან დაბეგროს 5%-იანი განაკვეთით.





თანასაკუთრებაში არსებული ფართობის გაქირავება 2526





ანოტაცია

„თანასაკუთრებაში არსებული ფართობის გაქირავება“ №2526

სიტუაციური სახელმძღვანელოს პროექტზე

სიტუაციური სახელმძღვანელო არეგულირებს თანასაკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართობის გაქირავებით მიღებული შემოსავლის დაბეგვრის საკითხს.

სიტუაციური სახელმძღვანელოს თანახმად, ფიზიკურმა პირებმა თანასაკუთრებაში არსებული გაუმიჯნავი საცხოვრებელი ფართობი, 2015 წელს გააქირავეს საცხოვრებელი მიზნით.

ორივე ფიზიკური პირი რეგისტრირებულია გადასახადის გადამხდელად. თითოეულმა მათგანმა დამოუკიდებლად განახორციელა ანგარიშგება და თანასაკუთრებაში არსებული ფართობის გაქირავებით მიღებული შემოსავალი, 2015 წლის დეკლარაციაში, დაბეგრა 5-პროცენტოანი განაკვეთით, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

სსკ-ის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საცხოვრებელი ფართობის ორგანიზაციაზე, იურიდიულ პირზე ან ფიზიკურ პირზე საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად იმ ფიზიკური პირის მიერ მიღებული შემოსავალი, რომელიც ამ შემოსავლიდან გამოქვითვებს არ ახორციელებს, 5 პროცენტით იბეგრება.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან აღნიშნული ფიზიკური პირები არ ახორციელებდნენ გამოქვითვებს შემოსავლიდან, რომელიც მიიღეს საცხოვრებელი ფართობის საცხოვრებელი მიზნით გაქირავების შედეგად, სსკ-ის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილის გათვალისწინებით, ამ ფიზიკური პირების მიერ შემოსავლის 5%-ით დაბეგრა მართლზომიერია.



Semosavl ebis samsaxuris ganmarteba

შემოსავლების სამსახურის კომენტარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლზე

დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაცია

ნაწილი 1. პირი, რომელიც ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და რომლის მიერ ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხა აღემატება 100 000 ლარს (გარდა ამ მუხლის 1¹ ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა):

ა) ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100 000 ლარზე გადაჭარბების დღიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა;

ბ) დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს.

ნაწილი 1¹. პირს (გარდა ამ კოდექსის 26-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული პირისა), რომელიც საქონლის მიწოდებას ახორციელებს მხოლოდ სსზ-ის ტერიტორიაზე, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არ წარმოეშობა დღგ-ის სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება.

ანალიზი:

თუ პირი ეწევა საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებულ ეკონომიკურ საქმიანობას და ამავე დროს ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში ახორციელებს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციებს (საგადასახადო კოდექსის მე-13 მუხლის შესაბამისად, დღგ-ის მიზნებისათვის საქონელს არ მიეკუთვნება ფული), იმ დღიდან, როდესაც ასეთი ოპერაციების ღირებულება გადააჭარბებს 100 000 ლარს, ამ პირმა 2 სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის, რა დროსაც დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის საერთო თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს.



აღნიშნული წესი არ ვრცელდება პირზე, რომელიც საქონლის მიწოდებას ახორციელებს საგადასახადო კოდექსის 26-ე მუხლით გათვალისწინებულ მხოლოდ სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე, გარდა იმ იურიდიული პირისა, რომელიც სპეციალური სავაჭრო ზონის ტერიტორიაზე საქონლის რეალიზაციას ახორციელებს დაქირავებული სტაციონარული (ადგილი, რომელიც არ აკმაყოფილებს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის მე-15 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს) სავაჭრო ობიექტის მეშვეობით და უფლება აქვს, დამოუკიდებლად შეასრულოს საგადასახადო ანგარიშგება/ვალდებულება.

საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით განსაზღვრულია საქმიანობები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას, მაგალითად, როგორცაა: საქველმოქმედო ან/და რელიგიური საქმიანობა; დაქირავებით მუშაობა; ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების განთავსება ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებში დეპოზიტებსა და ანაბრებზე და სხვა საქმიანობები. შესაბამისად, თუ პირი ეწევა მხოლოდ საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით განსაზღვრულ საქმიანობას მას დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება არ წარმოეშვება.

ფაქტობრივი გარემოება I: „X“ ფონდი, ამ კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ეწევა მხოლოდ საქველმოქმედო საქმიანობას – ყიდულობს საბავშვო ტანსაცმელს და საკვებს, შემდეგ კი ამ საქონელს უსასყიდლოდ აწვდის ბავშვთა სახლებს. სხვა საქმიანობას ფონდი არ ეწევა. იანვრის თვის განმავლობაში ფონდმა ბავშვთა სახლებს მიაწოდა 170 000 ლარის ღირებულების საბავშვო ტანსაცმელი და საკვები.

შედეგი: იმის გათვალისწინებით, რომ ფონდს, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლის შესაბამისად, არ უწარმოებია ეკონომიკური საქმიანობა, მას არ წარმოეშობა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება.

ფაქტობრივი გარემოება II : „X“ ფონდი, ამ კოდექსის მე-10 მუხლის შესაბამისად, ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას – ყიდულობს საბავშვო ტანსაცმლის დასამზადებლად საჭირო საქონელს, აწარმოებს საბავშვო ტანსაცმელს და უსასყიდლოდ აწვდის ბავშვთა სახლებს. ასევე ქველმოქმედებისათვის საჭირო თანხების მოსამიებლად ახდენს მის მიერ წარმოებული საბავშვო ტანსაცმლის რეალიზაციას, საიდანაც შემოსულ თანხებს გადასცემს ბავშვთა სახლებს. 2011 წლის 10 ივლისიდან 2012 წლის 9 ივლისამდე პერიოდში ფონდმა მოახდინა 95 000 ლარის ღირებულების საბავშვო ტანსაცმლის რეალიზაცია, ხოლო 2012 წლის 10 ივლისს 10 000 ლარის ღირებულების საბავშვო ტანსაცმლის რეალიზაცია.

შედეგი: „X“ ფონდი 2012 წლის 10 ივლისს 10 000 ლარი ღირებულების საბავშვო ტანსაცმლის მიწოდებიდან, მიუხედავად იმისა, რომ არის საქველმოქმედო ორგანიზაცია წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელს, ვინაიდან 2011 წლის 10 ივლისიდან 2012 წლის 10 ივლისამდე (ნებისმიერი უწყვეტი 12 თვის განმავლობაში) პერიოდში მის მიერ საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობიდან განხორციელებული საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხამ (105 000 ლარი) გადააჭარბა 100 000 ლარს. შესაბამისად ფონდის მიერ განხორციელებული ბოლო ოპერაცია (2012 წლის 10 ივლისს 10 000 ლარის ღირებულების საბავშვო ტანსაცმლის რეალიზაცია) ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას. ფონდმა 2012 წლის 10 ივლისიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების არწარდგენა განიხილება, როგორც დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა და გამოიწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის შესაბამისად.

ფაქტობრივი გარემოება III : შპს „A“ დარეგისტრირდა 2010 წლის 1 მარტს. იმავე თვეში მან განახორციელა 10 000 ლარის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციები. 2011 წლის 1 მარტისათვის დღგ-ით დასაბეგრმა ოპერაციებმა სულ შეადგინა 95 000 ლარი. 2011 წლის 1 მარტიდან 2011 წლის 1 აპრილამდე „A“-მ მოახდინა 9 000 ლარის საქონლის რეალიზაცია. ამ საქონლის რეალიზაცია წარმოადგენს დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას.

შედეგი: შპს „A“-ს არ წარმოეშვება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, ვინაიდან მისი შექმნის შემდეგ, არც ერთი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში, დღგ-ით დასაბეგრმა ოპერაციებმა არ გადააჭარბა 100 000 ლარს. როგორც უკვე აღინიშნა, 2010 წლის 1 მარტიდან 2011 წლის 1 მარტამდე დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების ჯამმა შეადგინა 95 000 ლარი, ხოლო 2010 წლის 1 აპრილიდან 2011 წლის 1 აპრილამდე – 94 000 ლარი (95000+9000-10000).





ფაქტობრივი გარემოება IV : არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქმიანობას ახორციელებს „გრანტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. მინიჭებული აქვს საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსი. დონორებიდან მიღებული სახსრებით (გრანტი) ახორციელებს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურულ, სპორტულ, ეკოლოგიურ და სოციალურ პროექტებს. აგრეთვე სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების დაფინანსებას.

ააიპ საკუთარი ძალებით ახდენს სკოლების, თეატრების, სტადიონების და საავადმყოფოების მშენებლობას. აგრეთვე სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობას. მშენებლობის დასრულების შემდგომ შესაბამისი კომისიის მიერ (ადგილობრივი თვითმმართველობა) ექსპლუატაციაში მიღებას, საჯარო რეესტრში დარეგისტრირებას და მხოლოდ ამ პროცესების შემდგომ, ახორციელებს შენობა-ნაგებობების სხვა მოძრავი ქონების გადაცემას საქველმოქმედო ორგანიზაციებისთვის უსასყიდლოდ, შემდგომი საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელებისათვის.

შედეგი: მოცემულ პირობებში, ააიპ-ის მიერ ამენებული შენობა-ნაგებობების საქველმოქმედო ორგანიზაციებზე უსასყიდლოდ გადაცემა წარმოადგენს საქველმოქმედო და არა ეკონომიკურ საქმიანობას და დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას არ უნდა იქნეს გათვალისწინებული.

ნაწილი 2. პირი, რომელიც აწარმოებს აქციზურ საქონელს საქართველოში, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

ანალიზი:

თუ პირი საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში აწარმოებს აქციზურ საქონელს, რომელიც საგადასახადო კოდექსის მე-7 კარის შესაბამისად იბეგრება აქციზით, იგი საგადასახადო კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ასეთი საქონლის მიწოდებამდე (სასყიდლით ან უსასყიდლოდ) ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად.

ფაქტობრივი გარემოება V: შპს „X“ საქართველოს ტერიტორიაზე აწარმოებს ბრენდს. ბრენდის წარმოების ტექნოლოგია ითვალისწინებს ყურძნის სპირტის დაყენებას მუხის კასრებში, სულ ცოტა, 3 წლის განმავლობაში. 2011 წლის 10 ივლისს მეწარმემ ყურძნის სპირტი ჩაასხა მუხის კასრებში, რომელიც კასრებში უნდა იყოს 2014 წლის ივლისამდე. 3 წლის შემდეგ „X“ გეგმავს ბრენდის ჩამოსხმას ბოთლებში და 2014 წლის 1 აგვისტოს მაღაზიებში სარეალიზაციოდ მიწოდებას. „X“ სხვა ეკონომიკურ საქმიანობას არ ეწევა და არ არის დღგ-ის გადამხდელი.



შედეგი: „X“ ვალდებული იქნება 2014 წლის 1 აგვისტომდე რეგისტრაციაში გატარდეს დღ-ის გადამხდელად. დღ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე, 2014 წლის 1 აგვისტოს მაღაზიებში სარეალიზაციოდ ბრენდის მიწოდება, შპს „X“-ის მხრიდან განიხილულ იქნება როგორც დღ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა და გამოიწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის შესაბამისად.

ნაწილი 3. პირი, რომელიც ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს საქართველოში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქციზური საქონლის საქართველოში იმპორტი გათავისუფლებულია დღ-ის გადახდისაგან, ვალდებულია დღ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს საქართველოში აქციზური საქონლის მიწოდებამდე.

ანალიზი:

თუ პირი საგადასახადო კოდექსის მე-9 მუხლით გათვალისწინებული ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ახორციელებს აქციზური საქონლის იმპორტს, რომელიც საგადასახადო კოდექსის მე-7 კარის შესაბამისად იბეგრება აქციზით, იგი საგადასახადო კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ასეთი საქონლის მიწოდებამდე (სასყიდლით ან უსასყიდლოდ) ვალდებულია გატარდეს რეგისტრაციაში დღ-ის გადამხდელად.

ფაქტობრივი გარემოება VI : შპს „X“-მა ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში 2011 წლის 10 ივლისს განახორციელა აქციზური საქონლის (სპირტის) იმპორტი. ამავე წლის 12 ნოემბერს პირმა განახორციელა 70 000 ლარის არააქციზური საქონლის მიწოდება, ხოლო 27 ნოემბერს მოახდინა 15 000 ლარის აქციზური საქონლის (სპირტის) მიწოდება. ამასთან, ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში მისი დასაბეგრი ოპერაციების ბრუნვა არ აღემატება 100 000 ლარს. შპს „X“-მა არ მიმართა საგადასახადო ორგანოს დღ-ის გადამხდელად რეგისტრაციისთვის.

შედეგი: მიუხედავად იმისა, რომ შპს „X“-ის დასაბეგრი ოპერაციების ბრუნვა ნებისმიერი უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში არ აღემატებოდა 100 000 ლარს, შპს „X“-ი ვალდებული იყო აქციზური საქონლის მიწოდებამდე (2011 წლის 27 ნოემბრამდე) საგადასახადო ორგანოსათვის მიემართა დღ-ის გადამხდელად რეგისტრაციისთვის. შპს „X“-ის მხრიდან დღ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების არწარდგენა განიხილება როგორც დღ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა და გამოიწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის შესაბამისად.



ნაწილი 4. თუ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში მოსალოდნელი ერთჯერადი ოპერაციის შედეგად ან ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ერთ დღეში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 100 000 ლარს, პირი:

ა) ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის 100 000 ლარზე გადაჭარბების დღიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა;

ბ) დღგ-ის გადამხდელად ითვლება იმ ერთჯერადი ოპერაციის ან ერთ დღეში განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების მომენტიდან (ამ ოპერაციის ჩათვლით), რომლის მიხედვითაც დასაბეგრი ოპერაციის თანხა გადააჭარბებს 100 000 ლარს.

ფაქტობრივი გარემოება VII : შპს „X“ არ არის დღგ-ის გადამხდელი. იგი ახორციელებს მის პირველ ოპერაციას – შეგროვებული 1000 ტონა ჯართის მიწოდებას საქართველოს რეზიდენტი პირისათვის 300 000 ლარად.

შედეგი: შპს „X“ აღნიშნული მიწოდების განხორციელებიდან წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელს, შესაბამისად, ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას. შპს „X“-მა ამ ოპერაციის განხორციელებიდან 2 სამუშაო დღის ვადაში საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის. შპს „X“-ის მხრიდან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების არწარდგენა განიხილება როგორც დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა და გამოიწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის შესაბამისად.

ფაქტობრივი გარემოება VIII : შპს -“X“ ეწევა მხოლოდ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ე” ქვეპუნქტით გათავისუფლებულია დღგ-ისგან. შესაბამისად, მის მიერ აღნიშნული მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი არ გაითვალისწინება დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის განსაზღვრისას და პირი არ არის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული. შპს „X“-მა 2011 გადაწყვიტა გაეფართოვებინა მისი საქმიანობა და ააშენა ახალი კლინიკა ღირებულებით 150 000 ლარი. შპს „X“-მა 2012 წლის 3 მარტს დაიწყო ახალი კლინიკის ძირითად საშუალებად გამოყენება (მიიღო ექსპლუატაციაში).



შედეგი: საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას წარმოადგენს საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობის ძირითად საშუალებად გამოყენება, ხოლო დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში მიღების მომენტი. ფაქტობრივი გარემოებიდან გამომდინარე, 2012 წლის 3 მარტიდან შპს „X“ წარმოადგენს დღგ-ის გადამხდელს, ვინაიდან მის მიერ ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში ერთ დღეში დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა აღემატება 100 000 ლარს, შესაბამისად, ოპერაცია ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას. შპს „X“ ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა. შპს „X“-ის მხრიდან დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების არწარდგენა განიხილება როგორც დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა და გამოიწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის 282-ე მუხლის შესაბამისად.

ნაწილი 5. რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი პირი, თუ რეორგანიზაციის ერთ-ერთი მხარე არის დღგ-ის გადამხდელი, ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ რეორგანიზაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

ანალიზი:

საწარმო შესაძლებელია გარდაიქმნას (სამართლებრივი ფორმა შეეცვალოს), შეერწყას მეორე საწარმოს (გაერთიანდეს) ან გაიყოს (დაყოფა, გამოყოფა) რამდენიმე საწარმოდ, რაც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14¹ მუხლის მიხედვით წარმოადგენს რეორგანიზაციის სახეებს. თუ სამართლებრივი ფორმის ცვლილებისას, გაერთიანებისას, დაყოფისას ან გამოყოფისას ერთ-ერთი მხარე მაინც არის დღგ-ის გადამხდელი, რეორგანიზაციის შედეგად შექმნილი (სამართლებრივი ფორმა შეიცვლილი, გაერთიანებული, დაყოფილი ან გამოყოფილი) პირი ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად დარეგისტრირდეს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ რეორგანიზაციის დასრულებიდან არა უგვიანეს 10 კალენდარული დღისა.

ფაქტობრივი გარემოება IX : შპს „X“, რომელიც არის დღგ-ის გადამხდელი გაიყო ორ შპს-ად: შპს „Y“-ად და შპს „Z“-ად. „Y“-ს რეგისტრაციიდან მე-3 დღეს სურს განახორციელოს დღგ-ით დასაბეგრი იმ საქონლის რეალიზაცია, რომელიც არ არის დღგ-ისგან გათავისუფლებული ჩათვლის უფლებით ან ჩათვლის უფლების გარეშე.



შედეგი: ახლად შექმნილი ორივე კომპანია ვალდებულია, სახელმწიფო რეგისტრაციიდან არა უგვიანეს **10** კალენდარული დღისა, საგადასახადო ორგანოში წარადგინოს განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე, ხოლო შპს „Y“-მა აღნიშნულ შემთხვევაში განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს საქონლის რეალიზაციის განხორციელებამდე. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების წარდგენის გარეშე შპს „Y“-ის მიერ საქონლის მიწოდება განიხილება როგორც დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა და გამოიწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის **282-ე** მუხლის შესაბამისად.

ნაწილი 6. დღგ-ის გადამხდელი პარტნიორისაგან/წევრისაგან შენატანის სახით საქონლის/მომსახურების მიღების შემთხვევაში საწარმო/ამხანაგობა ვალდებულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციისათვის მიმართოს საგადასახადო ორგანოს დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე, მაგრამ შენატანის განხორციელებიდან არა უგვიანეს **10** კალენდარული დღისა.

ფაქტობრივი გარემოება X : შპს „X“-მა და რამდენიმე ფიზიკურმა პირმა დააფუძნეს შპს „Y“. „X“ არის დღგ-ის გადამხდელი, მან „Y“-ის კაპიტალში შეიტანა **20 000** ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარები.

შედეგი: შპს „Y“ ვალდებულია, სახელმწიფო რეგისტრაციიდან **10** დღის ვადაში საგადასახადო ორგანოში განცხადება წარადგინოს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე. თუ შპს „Y“-ს სურს, დასაბეგრი ოპერაციები განახორციელოს უფრო ადრე, მან განცხადება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე საგადასახადო ორგანოში უნდა წარადგინოს ამ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებამდე. დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის თაობაზე განცხადების წარდგენის გარეშე „Y“-ის მიერ დასაბეგრი ოპერაციის განხორციელება განიხილება როგორც დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობა და გამოიწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის **282-ე** მუხლის შესაბამისად.

ნაწილი 7. დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციას დაქვემდებარებული პირის რეგისტრაციის გარეშე გამოვლენისას საგადასახადო ორგანო ატარებს ამ პირს რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. ამასთანავე, პირი დღგ-ის გადამხდელად ითვლება რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან.

ანალიზი:

თუ საგადასახადო ორგანო გამოავლენს პირს, რომელსაც დაუდგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, მაგრამ რეგისტრირებული არ არის ასეთად, საგადასახადო ორგანო თვითონ არეგისტრირებს პირს დღგ-ის გადამხდელად.



ფაქტობრივი გარემოება XI : შპს „X“ დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებული პირია, რომელიც გაწეული მომსახურებისთვის ყოველთვიურად ხელშეკრულებით იღებს **15 000** ლარს. შესაბამისად, მე-7 თვეს შპს „X“-ს დაუდგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, თუმცა შპს „X“-მა გააგრძელა საქმიანობა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე და იმავე ოდენობით (**15 000** ლარი) კომპენსაციის მიღება. საგადასახადო ორგანომ გამოავლინა აღნიშნული ფაქტი.

შედეგი: შპს „X“ ვალდებული იყო დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის **100 000** ლარზე გადაჭარბებიდან არა უგვიანეს **2** სამუშაო დღისა დარეგისტრირებულიყო დღგ-ის გადამხდელად, შესაბამისად, მის მიერ დარღვეულია დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის წესი. საგადასახადო ორგანო მოახდენს შპს „X“ -ის დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციას. შპს „X“-ს დაერიცხება კუთვნილი დღგ-ის გადასახადი და დაჯარიმდება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე საქმიანობისათვის საგადასახადო კოდექსის **282-ე** მუხლის შესაბამისად.

ნაწილი 8. სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულების განსაზღვრისას არ გაითვალისწინება:

- ა) ჩათვლის უფლების გარეშე გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები;
- ბ) ჩათვლის უფლებით გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციები;
- გ) ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისთვის – ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.

ფაქტობრივი გარემოება XII: შპს „Z“-ის საქმიანობაა მიწების ყიდვა-გაყიდვა. „Z“-მა თვის განმავლობაში იყიდა და გაყიდა **2** ნაკვეთი. ერთი ნაკვეთი „Z“-მა გაყიდა **120 000** ლარად, ხოლო მეორე – **300 000** ლარად.

შედეგი: მიუხედავად იმისა, რომ „Z“-მა მიიღო შემოსავალი, რომელიც აღემატება **100 000** ლარს, მას არ დაუდგა დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება, ვინაიდან მიწის ნაკვეთის მიწოდება საგადასახადო კოდექსის **168-ე** პირველი ნაწილის მიხედვით ჩათვლის უფლების გარეშე დღგ-ისგან გათავისუფლებულია.

ფაქტობრივი გარემოება XIII : შპს „Z“ ახორციელებს „სპეციალური დაბეგვრის რეჟიმების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრ საქმიანობას – აქვს პურის საცხობი თონე, რომელზეც მინიჭებული აქვს შესაბამისი სტატუსი, ასევე აქვს ტანსაცმლის მაღაზია, რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას საერთო წესით.

შპს „Z“-მა **2012** წლის **10** ივლისიდან **2013** წლის **10** ივლისამდე მიიღო შემოსავალი თონეთი გაწეული საქმიანობიდან **40 000** ლარი, ხოლო ტანსაცმლის მაღაზიიდან – **80 000** ლარი, ჯამში – **120 000** ლარი (**40 000 + 80 000**). შესაბამისად, ნებისმიერი უწყვეტი **12** კალენდარული თვის განმავლობაში განხორციელებული, დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის მიხედვით გადაჭარბა **100 000** ლარს.



შედეგი: მიუხედავად იმისა, რომ შპს „Z“-მა დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის მიხედვით (120 000) გადააჭარბა 100 000 ლარს, მას არ დაუდგება დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულება, ვინაიდან ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისთვის ფიქსირებული გადასახადით დასაბეგრი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი სავალდებულო რეგისტრაციის ვალდებულებას განსაზღვრისას არ გაითვალისწინება.

ნაწილი 9. დღგ-ის გადამხდელად არარეზიდენტის სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით, მისი დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება მხოლოდ საქართველოში მუდმივი დაწესებულების მეშვეობით განხორციელებული საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა.

ანალიზი:

სავალდებულო რეგისტრაციის მიზნით არარეზიდენტი პირის დღგ-ით დასაბეგრი ოპერაციების დაანგარიშებისას დაჯამდება მხოლოდ იმ საქონლის და მომსახურების მიწოდება, რომლებიც არარეზიდენტმა განახორციელა საგადასახადო კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად რეგისტრირებული მუდმივი დაწესებულების მეშვეობით. არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულების დღგ-ის გადამხდელად სავალდებულო რეგისტრაციის გარეშე გამოვლენისას საგადასახადო ორგანო ატარებს არარეზიდენტის მუდმივ დაწესებულებას რეგისტრაციაში დღგ-ის გადამხდელად. ამასთანავე, არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულება დღგ-ის გადამხდელად ითვლება რეგისტრაციის ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან.

ფაქტობრივი გარემოება XIV: უცხოურმა „Y“ კომპანიამ საქართველოში, ამ კოდექსის 29-ე მუხლის შესაბამისად, დაარეგისტრირა მუდმივი დაწესებულება. 9 თვის განმავლობაში მუდმივმა დაწესებულებამ საქართველოს საწარმოებს გაუწია 90 000 ლარის ღირებულების მარკეტინგული მომსახურება. გარდა ამისა, თვითონ „Y“-მა საქართველოს საწარმოებს დამატებით გაუწია 15 000 ლარის ღირებულების მარკეტინგული მომსახურება.

შედეგი: მიუხედავად იმისა, რომ გაწეული მომსახურების ჯამური ღირებულება 105 000 ლარია (100 000 ლარზე მეტია), მუდმივ დაწესებულებას დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება არ გაუჩნდება, რადგან დასაბეგრი ოპერაციების საერთო თანხის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მხოლოდ მუდმივი დაწესებულების მეშვეობით გაწეული მომსახურება, რომლის ღირებულებაც 90 000 ლარია (100 000 ლარზე ნაკლებია).



შემოსავლების სამსახურის კომენტარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის მე-6 ნაწილზე

გრძელვადიანი კონტრაქტი

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად:

„გრძელვადიანი კონტრაქტის შემთხვევაში, თუ არ დადგა ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობა:

ა) დასაბეგრი ოპერაციის თანხა კალენდარული წლისათვის განისაზღვრება ფაქტობრივი შესრულების მოცულობის მიხედვით, რომელიც გაიანგარიშება გაწეული ხარჯების კონტრაქტით გათვალისწინებულ ერთობლივ ხარჯებთან შეპირისპირებით;

ბ) დასაბეგრი ოპერაციის მომენტად ითვლება არა უგვიანეს ყოველი წლის დეკემბერი”.

ანალიზი:

შესაძლებელია გრძელვადიანი კონტრაქტის მონაწილე სუბიექტებმა მომსახურების გაწევა დაუკავშირონ არა კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვისას მიღებულ მომსახურებას, არამედ ცალკეულ ეტაპებს, რომლის დროსაც აგრეთვე ხორციელდება მომსახურების მიღება. ამ დროს დღე-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ცალკეულ ეტაპზე მიღებული მომსახურების საკომპენსაციო თანხით.

გრძელვადიანი კონტრაქტისას, თუ მისი მოქმედების პერიოდში ადგილი არ აქვს მომსახურების გაწევის ფაქტს, დასაბეგრი ოპერაციის თანხა განისაზღვრება ფაქტობრივი შესრულების მოცულობის მიხედვით და დასაბეგრი ოპერაციის მომენტი არის არა უგვიანეს ყოველი წლის დეკემბერი.

ფაქტობრივი გარემოება IV : 2010 წლის 14 ივნისს დამკვეთმა საწარმო X-მა მშენებელთან - საწარმო Y-თან გააფორმა სამშენებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება სამი წლის ვადით.

ხელშეკრულება ითვალისწინებს 10-სართულიანი საოფისე ნაგებობის მშენებლობას. მომსახურების მთლიანი ღირებულებაა 10 000 000 ლარი.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საოფისე ნაგებობის თითოეული სართულის მშენებლობის დასრულების შემდეგ დამკვეთის მიერ ხორციელდება დასრულებული საოფისე ნაგებობის სართულის ჩაბარება და შესაბამისი ანაზღაურების (1 000 000 ლარი) გადახდა.



შედეგი: მოცემულ პირობებში, უნდა ჩაითვალოს, რომ ცალკეული ეტაპის, კერძოდ, საოფისე ნაგებობის თითოეული სართულის მშენებლობის დასრულების შემდეგ, საწარმო X-ისთვის მომსახურება გაწეულია და დღე-ით დასაბეგრი ოპერაციის მომენტს წარმოადგენს საოფისე ნაგებობის თითოეული სართულის მშენებლობის დასრულების მომენტი, მიუხედავად იმისა, დამკვეთი განაცხადებს თუ არა თანხმობას დასრულებული საოფისე ნაგებობის სართულის ჩაბარებაზე.

ფაქტობრივი გარემოება V: 2010 წლის 15 თებერვალს დამკვეთმა საწარმო X-მა მშენებელთან – საწარმო Y-თან გააფორმა სამშენებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება სამი წლის ვადით.

ხელშეკრულება ითვალისწინებს 10-სართულიანი საოფისე ნაგებობის მშენებლობას. მომსახურების მთლიანი ღირებულებაა 10 000 000 ლარი.

2010 წელს მშენებელმა განახორციელა სამშენებლო სამუშაოები, რაზეც გასწია ხარჯი 1 000 000 ლარი, ხოლო საგეგმო პარამეტრებით მშენებლობის მთლიანი ხარჯი წარმოადგენს 8 000 000 ლარს.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ საოფისე ნაგებობის მთლიანად დასრულების შემდეგ დამკვეთი ჩაიბარებდა ნაგებობას.

შედეგი: ასეთ შემთხვევაში, დღე-ით დასაბეგრი ოპერაციის მომენტად ითვლება 2010 წლის 31 დეკემბერი, შესაბამისად, თუ საწარმო Y-მა მთლიანი ხარჯის (8 000 000 ლარი) 1/8 (1 000 000 ლარი) გასწია 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი მისაღები თანხის (10 000 000 ლარი) სწორედ 1/8 წარმოადგენს ზემოთ მითითებულ შემთხვევაში დასაბეგრი ოპერაციის თანხას და ეს თანხა არის $1\ 000\ 000/8\ 000\ 000 \cdot 10\ 000\ 000 = 1\ 250\ 000$ ლარი.

ფაქტობრივი გარემოება VI: ფაქტობრივი გარემოებები იგივეა, რაც ზემოთ მითითებულ მაგალითში, ამასთან, საგეგმო პარამეტრებით გათვალისწინებულმა ხარჯმა განიცადა კორექტირება და ნაცვლად 8 000 000 ლარისა შეადგინა 9 000 000 ლარი.

შედეგი: ასეთ შემთხვევაში საწარმო X დააზუსტებს დღე-ით დასაბეგრი ოპერაციის თანხას და აღნიშნული თანხა იქნება $1\ 000\ 000/9\ 000\ 000 \cdot 10\ 000\ 000 = 1\ 11111.11$ ლარი.



შემოსავლების სამსახურის კომენტარი საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლზე

მუხლი 176. უკუდაბეგვრა

1. არარეზიდენტის მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურების დაბეგვრა

(საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის 1(ა), 2(ა), 3(ა))

დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება არარეზიდენტი ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) ან არარეზიდენტი საწარმოს მიერ საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურება (სსკ-ის 176-ე 1(ა)).

უკუდაბეგვრის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტად ითვლება ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსი) და არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულება (სსკ-ის 176-ე 2(ა)).

საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას მომსახურებისათვის გასაცემ თანხაზე (სსკ-ის 176-ე 3(ა)).

ანალიზი:

2011 წლის 31 დეკემბრამდე სსკ-ით უკუდაბეგვრის წესით დღგ-ით იბეგრებოდა მხოლოდ არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურება. ამასთან, განსხვავებულია დაბეგვრის წესი და პროცედურები იმისდა მიხედვით, არარეზიდენტი საქართველოს ტერიტორიაზე საქმიანობას ეწევა მუდმივი დაწესებულების მეშვეობით თუ მის გარეშე. პირველ შემთხვევაში, არარეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურება ისევე იბეგრება, როგორც რეზიდენტის მიერ გაწეული, ხოლო მეორე შემთხვევაში, ასეთი მომსახურების დღგ-ით დაბეგვრის ვალდებულება წარმოექმნება მომსახურების მიმღებს – საგადასახადო აგენტს, რომელიც არარეზიდენტისაგან შეძენილ მომსახურებას არიცხავს დღგ-ს და იხდის ბიუჯეტში.

2011-12 წლებში საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებებით უკუდაბეგვრას დაექვემდებარა აგრეთვე პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა, აგრეთვე საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის იმპორტი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, უკუდაბეგვრის ვალდებულება საქონლის ან მომსახურების მიმღებს შეიძლება წარმოემყვას:



1. მომსახურების მიღებისას, თუ მომსახურებას უწევს არარეზიდენტი საწარმო ან არარეზიდენტი ფიზიკური პირი (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) მუდმივი დაწესებულებისა და დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციის გარეშე. ამასთან, ეს მომსახურება უნდა ითვლებოდეს საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულად;
2. საქართველოს ტერიტორიის გარეთ გაწეული მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით მიღებისას, თუ ეს პროდუქტი მატერიალური ფორმით (საქონლის სახით) არ კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს;
3. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) მისი, როგორც კრედიტორის მიერ საკუთრებაში მიღებისას;
4. საქონლის იმპორტისას, როცა იმპორტიორი ახორციელებს საბაჟო საწყობში შექმნილი უცხოური საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევას.

უკუდაბეგვრის ვალდებულება არ ავალდებულებს საგადასახადო აგენტს დღგ-ის გადამხდელად რეგისტრაციას, მიუხედავად საქონლის/მომსახურების ღირებულების ოდენობისა;

თუ სსკ-ის 168-ე მუხლის მიხედვით საქონლის ან მომსახურების მიწოდება გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ასეთი საქონელი და მომსახურება უკუდაბეგვრის წესით არ დაიბეგრება.

არარეზიდენტი საწარმოს ან არარეზიდენტი ფიზიკური პირის (გარდა საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირისა) მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაწეული მომსახურების დღგ-ით უკუდაბეგვრის მიზანია თანაბარკონკურენტული პირობები შეუქმნას საქართველოს ტერიტორიაზე ერთი და იმავე სახის მომსახურების განმახორციელებელ რეზიდენტ და არარეზიდენტ პირებს. მაგალითად, თუ პირი ახორციელებს დღგ-ისაგან გათავისუფლებულ ოპერაციებს, მას არა აქვს შექმნილ საქონელსა და მომსახურებაზე მომწოდებლებისათვის გადახდილი დღგ-ის ჩათვლის უფლება. აქედან გამომდინარე, მას არ ექნებოდა სურვილი დღგ-ით გაზრდილი ფასით შეეძინა მომსახურება საქართველოში დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებული პირისაგან, არარეზიდენტის მიერ გაწეული იგივე მომსახურება რომ არ იბეგრებოდეს საქართველოში.

დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ ის მომსახურება, რომელიც ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლით დადგენილი ნორმების შესაბამისად.

დღგ-ით უკუდაბეგვრის წესი არ ვრცელდება საქართველოს მოქალაქის მიერ გაწეულ მომსახურებაზე, მიუხედავად იმისა, რომ იმ საანგარიშო პერიოდისათვის, რომელშიც გაწეულ იქნა მომსახურება, იგი შეიძლება ითვლებოდეს არარეზიდენტად.



საგადასახადო აგენტს ეკისრება საგადასახადო ვალდებულება არარეზიდენტის მიერ მისთვის გაწეულ დღგ-ით დასაბეგრ მომსახურებაზე. ამ შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა საგადასახადო აგენტი რეგისტრირებულია თუ არა დღგ-ის გადამხდელად.

უკუდაბეგვრისას საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას არარეზიდენტის მიერ მისთვის გაწეული მომსახურებისათვის გასაცემ თანხაზე. ამასთან, თუ ადგილი აქვს არარეზიდენტის მიერ მომსახურების უსასყიდლოდ გაწევას, დღგ-ის დარიცხვა ხდება მომსახურების საბაზრო ღირებულებაზე.

დღგ-ის თანხა შეადგენს დასაბეგრი მომსახურების თანხის **18 პროცენტს**.

დასაბეგრი ოპერაციის განხორციელების დროდ ითვლება მომსახურების გაწევის მომენტი, ხოლო თუ მომსახურებას აქვს რეგულარული ან უწყვეტი ხასიათი, მათ შორის, საიჯარო მომსახურებაზე – არა უგვიანეს საანგარიშო თვის ბოლო დღე;

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №1):

დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულმა რეზიდენტმა შპს-მ საქართველოში მუდმივი დაწესებულების არმქონე უცხოურ კომპანიას ხელშეკრულების საფუძველზე დაუკვეთა საქართველოს ბაზარზე გარკვეული ტიპის მარკეტინგული კვლევის ჩატარება. მომსახურება შესრულდა მაისის თვეში. რეზიდენტი შპს-ს მიერ უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ-ის თანხა – **2700** ლარი ბიუჯეტში გადახდილია იმავე წლის ივლისის თვეში.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

უცხოური კომპანიის მიერ გაწეული მომსახურებისათვის გასაცემ თანხას შპს-მ უნდა დაარიცხოს დღგ და **2700** ლარი (**15000** ლარი **X 18%**) ასახოს მაისის თვის გაანგარიშებაში (იმ საანგარიშო თვეში, რომელშიც გაწეულ იქნა მომსახურება).

უკუდაბეგვრის წესით გადახდილი დღგ-ის ჩათვლის უფლება საწარმოს წარმოექმნება ივლისის თვიდან (დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის თვიდან), საერთო დადგენილი წესით.

2. საქართველოს ტერიტორიის გარეთ გაწეული მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით მიწოდების დაბეგვრა

(საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის 1(გ), 2 (ა), 3(ა))

დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება საგადასახადო აგენტისათვის საქართველოს ტერიტორიის გარეთ გაწეული მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის (საპროექტო დოკუმენტაცია, ტექნიკური დოკუმენტაცია, ტექნოლოგიური სქემა, პროგრამა და სხვა) მიწოდება ინტერნეტით ან ელექტრონული კომუნიკაციის სხვაგვარი საშუალებით. თუ იგი არ კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს ინტეგრირებული სქემის ან სხვა სახის ინფორმაციის მატარებლის საშუალებით (სსკ-ის 176-ე 1(გ)).



უკუდაბეგვრის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტად ითვლება ნებისმიერი გადასახადის გადამხდელი რეზიდენტი (გარდა არამეწარმე ფიზიკური პირისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონის საწარმოსი) და არარეზიდენტის მუდმივი დაწესებულება (სსკ-ის 176-ე 2(ა)).

საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას მომსახურებისათვის გასაცემ თანხაზე (სსკ-ის 176-ე 3(ა)).

ანალიზი:

ამ ნორმის მიზანია დაარეგულიროს ელექტრონული ფორმით მომსახურების ან/და საქონლის პროდუქტის დღგ-ით დაბეგვრის საკითხი, იმ შემთხვევაში, როცა ამ პროდუქტის მატერიალური ფორმით ან მატერიალური მატარებლებით საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილება არ ხდება.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №4):

საქართველოს საწარმომ ბრიტანულ კომპანიას, რომელსაც არ აქვს საქართველოში მუდმივი დაწესებულება, ხელშეკრულების საფუძველზე დაუკვეთა სათავო ოფისის პროექტირება. ბრიტანულმა კომპანიამ აღნიშნული პროექტი მიაწოდა ინტერნეტის მეშვეობით.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:
მომსახურება ჩაითვლება ელექტრონულად გაწეულ მომსახურებად და ექვემდებარება უკუდაბეგვრას.

ანალიზი:

თუ არარეზიდენტთან ხელშეკრულება დადებულია მომსახურების მიწოდებაზე, რომლის პროდუქტი კვეთს საქართველოს საბაჟო საზღვარს ფიზიკურ მატარებელზე, მაშინ საბაჟოზე დაიბეგრება მხოლოდ მომსახურების ფიზიკური მატარებლის (მაკეტი, მოდელი, CD დისკი და ა.შ.) ღირებულება, ხოლო მომსახურების ღირებულება დაიბეგრება უკუდაბეგვრის წესით;

**ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №2):**

არარეზიდენტ და რეზიდენტ საწარმოებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, არარეზიდენტი საწარმო შეიმუშავებს და დაამზადებს საქართველოს ტერიტორიაზე ასაშენებელი ქარხნის საპროექტო და ტექნიკურ დოკუმენტაციას და მიაწვდის რეზიდენტს 4 ეგზემპლარად ქაღალდზე. ხელშეკრულების მიხედვით, საკომპენსაციო თანხა შეადგენს 200 000 ლარს, აქედან, საინჟინერინგო მომსახურების ღირებულებად დაფიქსირებულია 190 000 ლარი, ხოლო მომსახურების ფიზიკური მატარებლის (საპროექტო - ტექნიკური დოკუმენტაციის) ფასად - 10 000 ლარი.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

საკომპენსაციო თანხიდან უკუდაბეგვრის წესით დაბეგვრას დაექვემდებარება მხოლოდ მომსახურების ღირებულება (190 000 ლარი).

3. უკუდაბეგვრის წესით მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემის დაბეგვრა

(საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის 1(ბ), 2(ბ), 3(ბ), 5, 6(ბ))

დღგ-ით უკუდაბეგვრას ექვემდებარება პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემა (სსკ-ის 176-ე 1(ბ)).

უკუდაბეგვრის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტად ითვლება პირი (კრედიტორი), რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში საკუთრებაში იღებს მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანს (საქონელს) (სსკ-ის 176-ე 2(ბ)).

საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას საკუთრებაში მიღებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) საბაზრო ფასზე. დღგ-ის გარეშე (სსკ-ის 176-ე 3(ბ)).

საქონლის საბაზრო ფასზე დღგ-ის დარიცხვის ვალდებულება არ ეკისრება დღგ-ის გადამხდელად რეგისტრირებულ პირს. ამასთანავე, ითვლება, რომ ამ საქონელზე მან განახორციელა შესაბამისი ოდენობის დღგ-ის ჩათვლა (სსკ-ის 176-ე 5).

ანალიზი:

აღნიშნული ნორმა არეგულირებს იმ შემთხვევას, როდესაც მოთხოვნის უზრუნველყოფის საქონელი (დაგირავებული ან იპოთეკით დატვირთული) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისას პირდაპირ გადადის კრედიტორის საკუთრებაში. ამ შემთხვევაში კრედიტორი, პირი, რომლის საკუთრებაშიც გადადის მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანი (საქონელი), ახდენს საქონლის საბაზრო ღირებულებაზე დღგ-ის დარიცხვას და ბიუჯეტთან ანგარიშსწორებას.



დაბეგვრა ხდება იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც მოთხოვნის უზრუნველყოფის საგანი გადადის კრედიტორის საკუთრებაში.

ამასთან, თუ კრედიტორი არის დღგ-ის გადამხდელი, დღგ-ის დარიცხვის ვალდებულება არ ეკისრება და ითვლება, რომ ამ საქონელზე მან განახორციელა შესაბამისი ოდენობის დღგ-ის ჩათვლა იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც გადაეცა საკუთრებაში.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №5):

დღგ-ის გადამხდელებად რეგისტრირებულ საწარმოსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის დადებულია სასესხო ხელშეკრულება, სესხის უზრუნველყოფის (იპოთეკის) საგანს წარმოადგენს კომერციული ფართი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო 2012 წლის მარტის თვეში კომერციული ფართზე საკუთრების უფლება გადაეცა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, როგორც ამას ხელშეკრულება ითვალისწინებდა. მან გადაწყვიტა ამ ფართში ფილიალის განთავსება. კომერციული ფართის საბაზრო ღირებულება დღგ-ის გარეშე შეადგენს 150 000 ლარს.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

ითვლება, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციას კომერციულ ფართის საბაზრო ღირებულების დღგ – 27 000 (150 000 X 18%) ლარი ჩათვლილი აქვს მარტის თვეში, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ მის მიერ 2011 წელს განხორციელებული დღგ-ით დასაბეგრი ბრუნვების წილი საერთო ბრუნვის თანხაში 20 პროცენტზე ნაკლებია, სსკ 174(7; 8) მუხლის თანახმად, ამავე თვეში 27 000 ლარი უნდა აღიაროს გადასახდელად. 2 700 ლარი (27000-ის 1/10) ყოველი კალენდარული წლის ბოლოს (10 წლის განმავლობაში) მონაწილეობას მიიღებს ჩასათვლელი დღგ-ის თანხის განსაზღვრაში.

დღგ-ით უკუდაბეგვრას არ ექვემდებარება პირის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიების ფარგლებში მოთხოვნის უზრუნველყოფის საგნის (საქონლის) კრედიტორისათვის საკუთრებაში გადაცემისას – ფიზიკური პირის საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთის გადაცემა (სსკ-ის 176-ე 6 (ბ)).

**ანალიზი:**

ფიზიკური პირის მიერ ყოველი უწყვეტი 48 თვის განმავლობაში მის საკუთრებაში არსებული 4 საცხოვრებელი ბინის (სახლის), მასზე დამაგრებული მიწით, რეალიზაცია ეკონომიკურ საქმიანობას არ განეკუთვნება და, შესაბამისად, დღგ-ით არ იბეგრება. მიუხედავად ამისა, ფიზიკურ პირს საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ბინის კრედიტორისათვის გადაცემა ეთვლება თუ არა ეკონომიკურ საქმიანობის ფარგლებში განხორციელებულად, მასზე კრედიტორს არ წარმოექმნება საგადასახადო აგენტის (უკუდაბეგრის) ვალდებულება. შესაბამისად, დღგ-ით დაბეგრის ვალდებულება დაეკისრება ფიზიკურ პირს ზემოაღნიშნული შეღავათის გათვალისწინებით.

4. უკუდაბეგრის წესით საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას დაბეგრა

(საქართველოს საგადასახადო კოდექსის 176-ე მუხლის 1(დ), 2(გ), 3(გ))

დღგ-ით უკუდაბეგრას ექვემდებარება საბაჟო საწყობში სსკ-ის 162-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში პირისგან შეძენილი უცხოური საქონელი, რომელიც იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში ექცევა (სსკ. მუხლი 176(1დ).

უკუდაბეგრის მიზნებისათვის საგადასახადო აგენტად ითვლება პირი, რომელიც საქონელს იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში აქცევს (სსკ. მუხლი 176(2გ).

საგადასახადო აგენტი აწარმოებს დღგ-ის დარიცხვას:

ა) საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობის თანხაზე - თუ საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული;

ბ) საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებაზე - თუ საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება (სსკ. მუხლი 176(3გ).

ანალიზი:

აღნიშნული ნორმა არეგულირებს იმ შემთხვევას, როდესაც ადგილი აქვს საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევას. იმის გათვალისწინებით, რომ საბაჟო საწყობში საქონლის მიწოდება ითვლება საქართველოს ტერიტორიაზე მიწოდებად, მაგრამ საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებით საბაჟო საწყობი არ ბეგრავს დღგ-ით ასეთ მიწოდებებს, ასეთივე საქონლის სხვა მიწოდებლებისათვის თანაბარკონკურენტული პირობების შექმნის მიზნით, კანონმდებლობა ითვალისწინებს მიწოდების დაბეგრას შემძენის მიერ საქონლის იმპორტის შემთხვევაში - პირი, რომელიც საბაჟო საწყობში შეძენილ საქონელს აქცევს იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში, ვალდებულია გადაიხადოს დღგ, რასაც გადაიხდიდა მისი შეძენისას საბაჟო საწყობში რომ დაბეგრილიყო. კერძოდ: საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის იმპორტის თანხა დღგ-ით დაიბეგრება იმპორტის დაბეგრისათვის დადგენილი წესით, ამასთან, თუ:



- საქონლის იმპორტი და მიწოდება არ არის დღგ-ისაგან გათავისუფლებული, იმპორტის თანხა დაიბეგრება დღგ-ით იმპორტის დროს, ხოლო სხვაობის თანხა იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და საქონლის იმპორტის თანხას შორის დაიბეგრება უკუდაბეგვრით;
- საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისაგან, ხოლო საქონლის მიწოდება დღგ-ით იბეგრება, იმპორტიორის მიერ საბაჟო საწყობში უცხოური საქონლის შესყიდვის ღირებულება (სრულად) დაიბეგრება უკუდაბეგვრით.

უკუდაბეგვრით დარიცხული დღგ-ის ბიუჯეტში გადახდა და ანგარიშგება ხდება არა უგვიანეს იმპორტის განხორციელების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის უკუდაბეგვრის აღნიშნული წესი ვრცელდება იმ საქონლის იმპორტის შემთხვევაშიც, რომელიც იბეგრება დღგ-ით იმპორტის დაბეგვრის სპეციალური წესით (სსკ, მუხლი 162.2¹).

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №6):

საქართველოს საწარმომ 2012 წლის 5 ივნისს განახორციელა საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის (შაქრის) იმპორტი. საქონლის შეძენის ღირებულება 12 000 ლარია, ხოლო იმპორტის თანხა 10 000 ლარი. აღნიშნული საქონლის არც იმპორტი და არც ქვეყნის შიგნით მიწოდება არ არის გათავისუფლებული დღგ-ისაგან.

შედეგი:

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას (5 ივნისს) დღგ-ით დაიბეგრება იმპორტის თანხა – 10000 ლარი, ხოლო აღნიშნული საქონლის შესყიდვის ღირებულებასა და იმპორტის თანხას შორის დადებითი სხვაობა (2000 ლარი) საქართველოს საწარმომ უნდა დაბეგროს დღგ-ით უკუდაბეგვრის წესით და განახორციელოს ანგარიშგება და თანხის ბიუჯეტში გადახდა არა უგვიანეს 15 ივლისისა.

ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №7):

საქართველოს საწარმომ 2012 წლის 5 ივნისს განახორციელა საბაჟო საწყობში შეძენილი უცხოური საქონლის (რვეულების) იმპორტი. საქონლის შეძენის ღირებულება 12 000 ლარია, ხოლო იმპორტის თანხა 10 000 ლარი. საგადასახადო კოდექსის მიხედვით აღნიშნული საქონლის იმპორტი გათავისუფლებულია დღგ-ისგან, ხოლო მიწოდება იბეგრება დღგ-ით.

**შედეგი:**

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:

იმპორტის სასაქონლო ოპერაციაში მოქცევისას, იმპორტის თანხა დღგ-ით არ დაიბეგრება, ხოლო აღნიშნული საქონლის შესყიდვის ღირებულება (12 000 ლარი) სრულად დაიბეგრება დღგ-ით უკუდაბეგვრის წესით (12000*18%). დარიცხული დღგ ბიუჯეტში გადახდას ექვემდებარება არა უგვიანეს 15 ივლისისა.

5. უკუდაბეგვრით გადახდილი დღგ-ის ჩათვლა**ანალიზი:**

თუ საგადასახადო აგენტი რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად, მას უფლება აქვს უკუდაბეგვრის წესით დარიცხული დღგ ჩაითვალოს, საერთო დადგენილი წესით, იმ საანგარიშო პერიოდში, რომელშიც გადახდილ იქნა თანხა ბიუჯეტში. დღგ-ის ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტებთან მიმართებაში არ გამოიყენება სსკ-ის 174(3)-ე მუხლის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებით დადგენილი შეზღუდვა (ჩათვლისათვის დადგენილი ვადის შეზღუდვა).

ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დღგ-ის ჩათვლის დოკუმენტი) შეიძლება იყოს:

- ბიუჯეტში გადახდის მიზნით საბანკო ანგარიშიდან თანხის (დღგ-ის) ჩამოწერის დამადასტურებელი დოკუმენტი, ან
- საგადასახადო ორგანოს შეტყობინება – გადამხდელის მიერ ზედმეტად გადახდილი გადასახადების (მათ შორის, დღგ-ის) თანხის უკუდაბეგვრით გადასახდელი დღგ-ის გადახდის ანგარიშზე გადატანის თაობაზე.

დღგ-ის გადამხდელად არარეგისტრირებული საგადასახადო აგენტის მიერ უკუდაბეგვრის წესით გადახდილი დღგ, რომელიმე გადასახადში ჩათვლას არ ექვემდებარება.


ფაქტობრივი გარემოება (მაგალითი №8):

არაეზიდენტმა საქართველოს საწარმოს გაუწია იურიდიული მომსახურება, რომლის ღირებულება 105 000 ლარია. საწარმომ არაეზიდენტის მიერ გაწეული მომსახურება დაბეგრა დღგ-ით უკუდაბეგვრის წესით, გადაიხადა ბიუჯეტში და ჩაითვალა დადგენილი წესით.

მოგვიანებით საგადასახადო ორგანომ დაადგინა, რომ მომსახურების გაწევის საანგარიშო პერიოდისათვის არაეზიდენტი პირი აკმაყოფილებდა საქართველოს რეზიდენტის კრიტერიუმებს.

**შედეგი:**

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების არსებობისას:
საქართველოს საწარმოს მიერ უკუდაბეგვრის წესით გადახდილი დღგ
გადაანგარშეზას, ხოლო ჩათვლილი დღგ გაუქმეზას არ ექვემდებარეზა.





გაგონიერად გადასასადები

მენეჯერის, სამართლებრივ
ინსპექტორების, აუდიტორების,
ბუღალტრებისა და ყველა მათგანის
უნივერსალური სამაგიერო ჟურნალი

ჩვენი რეკვიზიტებია:

მიმღები: შპს ბიზნეს ინტელექტი
მიმღების IBAN ანგარიშის №:
GE21BR0000010893437601

მიმღების მანკი: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"
ბანკის BIC კოდი: REPLGE22

2012.gadasaxadebi@gmail.com

ღიზარინი ჰოციბიხაფია

- » ეტიკატიბი
- » ბუკლეტიბი
- » კლაკატიბი
- » შესაფუთი პაკეტიბი
- » ნიბნები